1968

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

1

იანვარი

Контрольный экземпляр

თბილისი—1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/II-68 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა $4^1/_2$.

შეკვ. 61. უე—00617 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფშრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 3 დეკემბრის ბრძანება № 1353

ქარელის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქარელის რაიონის სკოლებში ერთგვარი მუშაობაა ჩატარებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. მიმდინარე წელს კეხიჯვრის, დირბის საშუალო და კნოლევის რვაწლიან სკოლებს მიუშენდა 28 საკლასო ოთახი.

სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებით. შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი გაკვეთილებს მაღალ დონეზე ატარებს. ამ მხრივ გამოირჩევიან მასწავლებლები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში დ. გოჩაშვილი (ქარელის პირველი საშუალო სკოლა); რუსულ ენასა და ლიტერატურაში რ. ფილიშვილი (ქარელის პირველი საშუალო სკოლა), გ. ცხოვრებაშვილი (ქარელის მეორე საშუალო სკოლა); მათემატიკაში თ. შავდათუაშვილი და ბ. არდემანაშვილი (ქარელის პირველი საშუალო სკოლა), მ. ბუზალაძე (ქარელის მეორე საშუალო სკოლა); ქიმიაში თ. კორინთელი, (ქარელის I საშალო სკოლა); გერმანულ ენაში ზ. მეტრეველი, ზ. ასანიძე და ლ. კოპალეიშვილი (ქარელის მეორე საშუალო სკოლა).

მიუხედავად აღნიშნულისა, შემოწმებული სკოლების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები შეინიშნება.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ მუშაობს თავის თავზე, არ ემზადება გაკვეთილებისათვის და მოსწავლეებს არ აძლევს მკვიდრ და საფუძვლიან ცოდნას.

შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა. ამ საგნის მასწავლებლები პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან თავის მოვალეობას, არ იცნობენ და შემოქმედებითად არ იყენებენ სწავლებაში თანამედროვე პედა-

ქარელის ს.ახ. ბიბლიოთეკა
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

გოგიკისა და მეთოდიკის ახალ მიღწ[illegible]ბს. კეხიჯვრისა და რუისის საშუალო სკოლების მასწავლებლები ზ. ცხოვრებოვა და ს. ჭონიაშვილი ქართული ენის სწავლებისას სათანადო მუშაობას არ ატარებენ მოსწავლეთა თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისათვის, ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად, არ ავარჯიშებენ ლიტერატურულ მასალაზე, კმაყოფილდებიან მხოლოდ გრამატიკის სახელმძღვანელოში მოცემული წინადადებების გარჩევით, არ იყენებენ თვალსაჩინოებას.

აბისის საშუალო სკოლის მასწავლებელი ჟ. ამბოკაძე ლიტერატურის გაკვეთილებზე უგულებელყოფს ნაწარმოების ტექსტზე მუშაობას, მოსწავლეები თხრობისას ვერ იყენებენ საზეპირო ადგილებს, უმეტეს შემთხვევაში მათი მეტყველება ღარიბია, ბუნდოვანი, არა აქვთ გამომეტყველებითი კითხვისა და თხრობის ჩვევები.

მასწავლებლები მ. კაბულაშვილი და ც. მღებრიშვილი (ქარელის პირველი საშუალო სკოლა), თ. გასიტაშვილი (ქარელის მეორე საშუალო სკოლა), ს. ჭონიაშვილი (რუისის საშუალო სკოლა) გულდასმით არ ასწორებენ წერით ნამუშევრებს, შეცდომებს ტოვებენ გაუსწორებლად და არც შემდგომ ეწევიან დაშვებულ შეცდომებზე მუშაობას.

რუისის საშუალო სკოლის (მასწავლებელი ს. ჭონიაშვილი) მოსწავლეთა მიერ დაწერილი თემები შინაარსობლივად სრულყოფილი არაა, მცირე მოცულობისაა და ძირითადად სახელმძღვანელო ტექსტის გამეორებაა. მაგალითად, მე-10 კლასის მოსწავლეთა მიერ შესრულებული თემა „პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ განისაზღვრება მხოლოდ „ბახტრიონის“ გარჩევით.

ასევე დაბალ დონეზეა რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება შემოწმებულ სკოლებში. მასწავლებელთა ნაწილი სათანადოდ ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, სწავლებაში ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას და მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს. აბისის საშუალო სკოლის მასწავლებელი ო. ნადარეიშვილი მეტყველებისას უშვებს შეცდომებს, მისი თხრობა გაუმართავია, გაკვეთილებზე უფრო მეტად ქართულ ენაზე საუბრობს. მისმა მოსწავლეებმა VII კლასში ძალზე დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს, ისინი მეოთხე—მეხუთე კლასების საპროგრამო მასალასაც კი ვერ ფლობენ. სუსტად ატარებს გაკვეთილებს ავრეთვე ქარელის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი პ.-

კაჩმაზოვა. იგი გაკვეთილის ორგანიზებულად ჩატარებასაც ვერ ახერხებს. ამასთანავე თვითონ უშვებს შეცდომებს მეტყველებაში. VII კლასის ვერც ერთმა მოსწავლემ დამოუკიდებლად ვერ ... მოსცა დავალებად მიცემული მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიური მდგომარეობაა კეხიჯვრის (თ. აბდულოვა) და ქარელის მეორე (ს. ენისენკო, მ. ჭანიშვილი) საშუალო სკოლებში.

დაბალ დონეზეა მოსწავლეთა წერითი მეტყველება. ისინი უშვებენ უხეშ შეცდომებს. რვეულებზე წარწერაც კი (VII—VIII კლასებში) შეცდომებითაა შესრულებული. აბისის საშუალო სკოლის VII კლასში 18 მოსწავლიდან 16-მა დაფიდან რვეულებში სწორად ვერ გადაწერა რამოდენიმე სიტყვა. მოსწავლეთა უმრავლესობა არ ასრულებს წერით საშინაო დავალებას, მაგალითად, ქარელის მეორე საშუალო სკოლის VIII კლასში წერითი საშინაო დავალების რვეულები 26 მოსწავლიდან 10 მოსწავლეს ჰქონდა და წერითი საშინაო დავალება (სახელმძღვანელოდან რამოდენიმე წინადადების გადმოწერა) მხოლოდ 6 მოსწავლეს ჰქონდა შესრულებული.

სკოლებში არ სრულდება დაწესებული საკონტროლო წერის ნორმები. შემოწმების დღისათვის (15 ოქტომბერი) თითქმის ყველა სკოლის V—VII კლასებში ჩატარებული იყო ერთი წერა. ამასთანავე მასწავლებელთა მიერ არ სწორდება საშინაო წერითი დავალების რვეულები.

სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას მათემატიკის სწავლება შემოწმებულ სკოლებში. მასწავლებელთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის საქმეს, გაკვეთილს დაბალ დონეზე ატარებს, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება არითმეტიკა ქარელის 1-ლი საშ. სკოლის V კლასში (მასწავლებელი ე. ყაზიშვილი). ამ კლასის მოსწავლეებმა არ იციან რიცხვთა გაყოფადობის ნიშნები, უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა და ხშირად ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ ამ ცნებებს. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს აბისის საშუალო სკოლის IX კლასების (მასწავლებლები გ. ბერიკაშვილი, ე. კაპანაძე) მოსწავლეებმა. ამ კლასებში მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ საკონტროლო წერებზე მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა ვერ შეასრულა სამუშაო, 41 მოსწავლიდან დამაკმაყოფილებელი შეფასება მხოლოდ შვიდმა მიიღო.

თეორიული ცოდნისა და მისი პრაქტიკული გამოყენების ძალიან დაბალი დონე გვიჩვენა კეხიჯვრის IX და X კლასების (მასწავლებელი ნ. ფირცხალავა) მოსწავლეებმა. საკონტროლო წერაზე, რომელიც X კლასში ჩატარდა გეომეტრიაში, ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება. სუსტად მუშაობენ რუისის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები ზ. ზეინკლიშვილი და მ. კოპაძე.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება შემოწმებულ ზოგიერთ სკოლაში.

კაბინეტისათვის გამოყოფილი სათავსოები ბევრგან საკლასო ოთახებადაა გამოყენებული, არ არის მოწყობილი დაბნელება, ელექტროგაყვანილობა, დამონტაჟებული არაა მუდმივი ხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა და კაბინეტები არ არის უზრუნველყოფილი საჭირო ხელსაწყოებითა და დამხმარე მასალებით ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოების პრაქტიკუმებისა და სადემონსტრაციო ცდების ჩასატარებლად.

ფიზიკის ხელსაწყოები მოუვლელია. კარადებში უწესრიგოდ აწყვია ხელსაწყო-იარაღები და მათი გამოყენება ძნელდება.

ზოგიერთ სკოლაში კაბინეტი გადატვირთულია ერთი და იგივე ხელსაწყოთი, მაშინ, როცა აუცილებელი ფრონტალური ცდებისა და პრაქტიკუმების ჩატარებისათვის საჭირო მოწყობილობა კაბინეტს არა აქვს. ასე, მაგალითად, ქარელის მეორე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტს ცენტრიდანული მანქანა აქვს 7 ცალი, ორთქლის მანქანის ცილინდრის ჭრილი—9 ცალი, ტინდალის ხელსაწყო ლითონების სხვადასხვა სითბოტევადობის დემონსტრაციისათვის—12 ცალი, რუმკორფის კოჭი—6 ცალი და სხვ.

აბისის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტში (გამგე რ. ხაჩიძე) ჩატარებული არაა არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა. სკოლის საინვენტარო წიგნში გატარებული არ აღმოჩნდა ელექტროგამნაწილებელი ფარი, კენოტრონული გამმართველი, სარკიანი გალვანომეტრი, მაგნიტოელექტრული მანქანა, ოპტიკური საყელური და საპროექციო ფარანი.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულდასმით არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ვერ ფლობს ფიზიკის ექსპერიმენტის ტექნიკას, არ სარგებლობს საჭირო მეთოდური ლიტერატურით, არ ეცნობა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს და დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს.

კეხიჯვრის საშუალო სკოლის IX კლასში მასწავლებელმა ც. ხარატიშვილმა ძალიან მოკლედ, გაუგებრად და ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე გადასცა ახალი მასალა „ნიუტონის მეორე კანონი“, ასევე დაბალ დონეზე ჩაატარა მან გაკვეთილი X კლასში, სადაც არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა დავალებად მიცემული მასალა—„ომის კანონი მთელი წრედისათვის“. ქარელის მეორე საშუალო სკოლის მერვე კლასში მასწავლებელმა ზ. პაპუნაშვილმა ვერ შეძლო გაერკვია გამტარების წინაღობის დამოკიდებულება მათ სიგრძეზე, განივკვეთის ფართობსა და მასალაზე“, მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა დარჩათ აღნიშნულ საკითხებზე.

შემოწმებულ სკოლებში წლების მანძილზე არ სრულდება ის მინიმუმი პრაქტიკული სამუშაოებისა, რაც განსაზღვრულია სასწავლო პროგრამით, როგორც აუცილებელი (სადემონსტრაციო ცდები, ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოები, პრაქტიკუმები). მოსწავლეებს ნაკლებად ავარჯიშებენ გამოთვლითი, თვისობრივი და ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე და ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. კეხიჯვრის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ც. ხარატიშვილი) არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა ამოხსნილი დავალებად მიცემული სავარჯიშოდან აღებული მარტივი ამოცანა კუთრ წონასა და სიმკვრივეს შორის თანაფარდობაზე და მასწავლებლის დახმარებითაც გაუძნელდათ მისი ამოხსნა. ამავე სკოლის X კლასის მოსწავლეებმა გავლილ საპროგრამო მასალის უცოდინარობის გამო ვერ შესძლეს დამოუკიდებლად ამოეხსნათ მეტად მარტივი ამოცანა ომის კანონზე მთელი წრედისათვის. ქარელის პირველი საშუალო სკოლის (მასწავლებელი ა. ყაზიშვილი) IX კლასის მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ნიუტონის კანონებზე და არ შესწევთ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარი. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს რუისის საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი ნ. გოგინაშვილი) მოსწავლეებმა.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ქიმიის სწავლება ზოგიერთ სკოლაში. აბისის საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (გამგე ლ. კილასონია) შევსებული არაა საჭირო მოწყობილობით, რეაქტივებით, ჭურჭლითა და დამხმარე მასალებით. რეაქტივების მინიმალური რაოდენობა, რაც სკოლას გააჩნია, კარადებში უწესრიგოდაა დალაგებული, წარწერების გარეშე, და გამოუყენებელია.

შემოწმებული სკოლების ზოგიერთი მასწავლებელი სწავლებაში ვერ იყენებს კაბინეტის შესაძლებლობას და უხარისხოდ ატარებს გაკვეთილებს. აბისის საშუალო სკოლის IX კლასში მასწავლებელმა მ. ირემაძემ ზეპირად, მშრალად, თვალსაჩინოების გარეშე გადასცა ახალი მასალა—„ბრომი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლები ე. ხარატიშვილი (ქარელის I საშუალო სკოლა) და თ. კოპაძე (რუისის საშუალო სკოლა), რომლებიც წლების მანძილზე ბიოლოგიას ასწავლიდნენ, X კლასებში პირველად ასწავლიან ქიმიას, რის გამოცდილებაც მათ არა აქვთ და სუსტად ფლობენ საგანს. ამ კლასების მოსწავლეებმა არ იციან გავლილი საპროგრამო მასალა.

აგარის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლები ვ. გელაშვილი და ვ. ბოგიშვილი პროგრამული მასალის სწავლებისას მოსწავლეებს არ აცნობენ ადგილობრივ საწარმოებში მიმდინარე ტექნიკურ პროცესებს. X კლასში თემის—ნახშირწყლები (გლუკოზა, ფრუქტოზა, სახამებელი) შესწავლისას არ გააცნეს მოსწავლეებს სკოლის მახლობლად მდებარე აგარის შაქრის ქარხნის ქიმიურ-ტექნოლოგიური საფუძვლები. სკოლაში მოწყობილი არ არის ამ პროცესების ამსახველი სტენდები, მოდელები, სქემები, კოლექციები და ჩატარებული ექსკურსიის მასალები.

კეხიჯვრის საშუალო სკოლაში წლების მანძილზე გერმანულ ენას ასწავლიდნენ არასპეციალისტები, რის შედეგადაც მოსწავლეთა მომზადების დონე ძლიერ დაბალია. ისინი ვერ ფლობენ გავლილ საპროგრამო მასალას, არ შეუძლიათ გერმანულ ენაზე პასუხი გასცენ მასწავლებლის მიერ დასმულ მარტივ კითხვებზე.

ზოგიერთ სკოლაში ცალკეული საგნების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას საგრძნობლად უშლის ხელს ის გარემოება, რომ საათები დაქუცმაცებულია. ასე, მაგალითად, ქარელის მეორე საშუალო სკოლაში ფიზიკის 41 საათი განაწილებულია სამ მასწავლებელზე. სკოლებიდან არასწორად იგზავნება მასწავლებლები დახელოვნების კურსებზე და არ ხდება ადგილზე მათი შეცვლა სხვა მასწავლებლით, რის გამო ცდება ამ მასწავლებელთა გაკვეთილები. აბისის საშუალო სკოლიდან ფიზიკის მასწავლებელთა დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე გაძახებულ იქნა ფიზიკის ორივე მასწავლებელი და ქარელის მეორე საშუალო სკოლის სამი მასწავლებლიდან—2.

შემოწმებული სკოლების წლიური სამუშაო გეგმები დამაკმაყოფილებლადაა შედგენილი, თუმცა ზოგჯერ მათში საკმაო კონკრეტულობით არ არის წარმოდგენილი ცალკეული საგნებ[illegible]ლების გაუმჯობესებისა და აღმზრდელობითი მუშაობის ღონისძიებანი. ქარელის მეორე საშუალო სკოლაში შემოწმების დღისათვის არ ჰქონდათ წლიური სამუშაო გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი აბისის, რუისის და ქარელის მეორე საშუალო სკოლებში. ხშირ შემთხვევაში დღეები გადატვირთულია ძნელად ასათვისებელი საგნებით და ზოგჯერ ეს საგნები ცხრილში მეხუთე-მეექვსე გაკვეთილებზეა მოქცეული. ერთფეროვანი საგნები ცხრილში ერთმანეთის მიყოლებითაა შეტანილი და სასწავლო გეგმიდან ზოგჯერ სწორად არაა გადატანილი ზოგიერთი საგნის დასახელება. ქარელის მეორე საშუალო სკოლის V—X კლასებში შრომითი სწავლება შეტანილი არ არის დაწყვილებულ გაკვეთილებად.

მოუვლელია საკლასო ჟურნალები ქარელის პირველ, მეორე, კეხიჯვრის და რუისის საშუალო სკოლების ზოგიერთ კლასში, ჩანაწერები ხშირად უსუფთაოა, რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს მიმდინარე შეფასების ნიშნების გადასწორებას, ჟურნალში ყოველთვის არ იწერება დამუშავებული მასალა, დავალებად მიცემული ამოცანებისა და მაგალითების ნომრები, ჩატარებული საკონტროლო წერის თემები.

შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული კლასგარეშე მუშაობა; ღარიბია საწრეო მუშაობის თემატიკა. წრეების სამუშაო გეგმებში უმეტესად შეტანილია წმინდა საპროგრამო საკითხები იმ მოცულობით, როგორც ეს სახელმძღვანელოშია მოცემული. ასევე წრეობრივი მუშაობის გეგმებში გათვალისწინებული არ არის პრაქტიკული საკითხები, რთულ ამოცანებსა და მაგალითებზე ვარჯიში, თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და მოქმედი მოდელების დამზადება. სათანადოდ არ ფორმდება წრის მიერ ჩატარებული მუშაობა.

შემოწმებულ სკოლებში საგნობრივ-მეთოდური გაერთიანებები მასწავლებლებს ქმედით დახმარებას ვერ უწევენ. სამუშაო გეგმები ფორმალურადაა შედგენილი და ვერ პასუხობს სკოლის წინაშე დასმულ ამოცანებს. არასწორადაა დაგეგმილი მეთოდკაერთიანებათა მუშაობის დაწყების ვადები და მოუგვარებელია ჩატარებული მუშაობის აღრიცხვის საქმე.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის შესრულებაში. სკოლებიდან განთესილია სასკოლო ასაკის 7 ბავშვი, მათ შორის დვანის საშუალო სკოლიდან — 2, აგარის საშუალო სკოლიდან — 2, ხოლო დირბის საშუალო, ვერძინეთისა და ლეთეთის რვაწლიანი სკოლებიდან თითო ბავშვი.

რიგ სკოლებში, განსაკუთრებით სოფლად, არ ტარდება მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება. ქვენატკოცის რვაწლიანი სკოლის პირველ და მეორე კლასებში არიან ახლომხედველი ბავშვები, რომლებსაც არა აქვთ შერჩეული სათვალეები, რის გამო უძნელდებათ მეცადინეობა.

შემოწმებულ სკოლებში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. ზოგიერთი სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე სასაწავლო მუშაობის დარგში საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ უწევს მასწავლებლისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობას. ისინი მცირე რაოდენობით ისმენენ გაკვეთილებს, კმაყოფილდებიან მხოლოდ მოსმენილი გაკვეთილების მსვლელობის ჩაწერით, არ ახდენენ მოსმენილი გაკვეთილების გაანალიზებას, ღრმად ვერ სწვდებიან მასწავლებლის მუშაობის შინაარსს, არ აძლევენ მათ საჭირო მითითებებს საგნის სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის. ქარელის მეორე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში მ. ალავიძეს შემოწმების დღისათვის (12 ოქტომბერი) მოსმენილი ჰქონდა 4 გაკვეთილი, ქვენატკოცის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ნ. ღონღაძეს—12 და მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ნ. ჟოტაძეს—10 გაკვეთილი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ნ. გოგიჩაიშვილმა:

ა) არსებითად გარდაქმნას მუშაობა და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი რაიონის სკოლებში სწავლებისა და აღზრდის საქმის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის;

ბ) სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლოს ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა, ხოლო მათ მიმართ, ვინც ვერ უზრუნველყოფს მუშაობის გამოსწორებას, სათანადო წესის დაცვით, დააყენოს საკითხი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ;

გ) გაატაროს ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო კაბინეტე-

ბის მოწყობისა და შევსებისათვის საჭირო იარაღ-ხელსაწყოებითა და მასალებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ჩაატაროს რაიონის სკოლების ფიზიკის კაბინეტებში-ში-ში-

სკოლის დირექტორს ნ. ღონღაძეს და მის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ნ. ურუტაძეს მიეთითოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 24 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 3 დეკემბრის ბრძანება № 1354

ზესტაფონის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დასტურდება, რომ ზესტაფონის რაიონში გარკვეული მუშაობა ტარდება სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში შევიდა სასახლის რვაწლიანი და ბოსლევის საშუალო სკოლების ტიპიური შენობები. არსებულ სასკოლო შენობებს (კვალითის, ილმის, წორაპნის და სხვ.) მიუშენდა 92 საკლასო ოთახი. მიმდინარეობს ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლაზე 24 საკლასო ოთახისა და სპორტდარბაზის მიშენება, რითაც სკოლა ერთცვლიან მეცადინეობაზე გადავა.

კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნოები შევსებულია 15 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღებითა და მოწყობილობით.

განათლების განყოფილებამ (გამგე მ. ჩიქოვანი) სასწავლო წლის დასაწყისში შეისწავლა საბავშვო ბაღებისა და საყოველთაო სავალდებულო სწავლების მდგომარეობა და ეს საკითხები განხილულია განათლების საბჭოს სხდომაზე.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადოდ ემზადება გაკვეთილებისათვის და გარკვეულ წარმატებას აღწევს საგნის სწავლებაში.

კარგად მუშაობენ მასწავლებლები: ქართულ ლიტერატურაში — გ. გაჩეჩილაძე და შ. კვეტენაძე (ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა), პ. შველიძე (ძირულის საშ. სკოლა); ა. აბულაძე (პირველი სვირის რვაწლიანი სკოლა); რუსულ ენაში — ლ. მელაძე, ვ. ყოროშიძე და ლ. კავილაძე (ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა), მ. გენაძე და ნ. გელაშვილი (ძირულის საშუალო სკოლა), ე. მახა-

თაძე ქვედა (საქარის საშუალო სკოლა), მ. ჭყოიძე და მ. კაპანაძე (პირველი სვირის რვაწლიანი სკოლა); მათემატიკაში—ლ. ბიბილეიშვილი (ქვედა საქარის საშუალო სკოლა); ფიზიკაში—ნ. ...ძე (ძირულის საშუალო სკოლა); ბიოლოგიაში—ს. კუპრაძე (ძირულის საშუალო სკოლა);

მიუხედავად ამისა, რაიონის ზოგიერთ სკოლას სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში აქვს სერიოზული ნაკლოვანებები.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის. არ ზრუნავს თავისი მეთოდური და პედაგოგიური დახელოვნებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას, რის გამო დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

შემოწმებული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი მასწავლებელი არ იჩენს დაინტერესებას საგნის სწავლების გაუმჯობესებისათვის. მოსწავლეები მხოლოდ იზეპირებენ გაკვეთილს, კითხვებზე გაუაზრებელ პასუხებს იძლევიან.

ძირულის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეებს (მასწავლებელი თ. გველესიანი) დავალება—ამოეწერათ სახელმძღვანელოდან სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები—არასწორად ჰქონდათ შესრულებული.

იგივე მასწავლებელი ზოგჯერ გაურკვეველ დავალებებს აძლევს მოსწავლეებს, რის გამო პასუხიც არასწორია.

ანალოგიური ნაკლოვანებები ახასიათებს ძირულის საშუალო სკოლის VII კლასის მასწავლებელ გ. გელაშვილის მუშაობას.

გრამატიკული მასალის დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს პირველი სვირის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის (მასწავლებელი გ. აბულაძე) და ქვემო საქარის საშუალო სკოლის VI კლასის (მასწავლებელი ე. სულავა) მოსწავლეებმა. ამასთან მასწავლებელი ელ. სულავა გაკვეთილს ძალზე მონოტონურად და უხალისოდ ატარებს, მოსწავლეებიც ნაკლებად ებმებიან მუშაობაში.

თითქმის ყველა შესწავლილ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა მეტყველების კულტურა. მასწავლებლები ძალიან ცოტას მუშაობენ ამ მიმართულებით. მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა პასუხის ენობრივ სისწორეს, აზრის გასაგებად გადმოცემას. ძირულის საშუალო სკო-

ლის IV კლასის მოსწავლეებს თავიანთი სიტყვებით აზრის გადმოცემაც კი უჭირთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის გაკვეთილები ამ სკოლებში ძირითადად ნაარსის გადაცემასა და პერსონაჟების დახასიათებას არ სცილდება, უგულებელყოფილია მხატვრული გამოსახვის საშუალებებზე მუშაობა, მწერლის ოსტატობაზე დაკვირვება, ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში განხილვა.

ქვედა საქარის საშუალო სკოლის V, VI, VII კლასების მოსწავლეთა ნამუშევრები (მასწავლებლები ე. სულავა, ა. კუპატაძე) დაუდევრად არის გასწორებული, გამოტოვებულია ბევრი შეცდომა, რის გამო შეფასება არაობიექტურია.

არადამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებდნენ რუსულ ენაში ტაბაკინის რვაწლიანი სკოლის V—VIII კლასების (მასწავლებელი ა. ძაბირაძე) და ქვედა საქარის საშუალო სკოლის V—VII კლასების (მასწავლებელი ფ. ბიწაძე), მოსწავლეები.

საგნის უცოდინარობას იჩენენ ტაბაკინის რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ა. ბოჭორიშვილი, ძირულის საშუალო სკოლის V—VIII კლასების მასწავლებელი გ. თაბუკაშვილი და ქვედა საქარის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ა. კუპატაძე (არასპეციალისტი). აღნიშნული სკოლების მოსწავლეებს არ გააჩნიათ სიტყვების საჭირო მარაგი. ვერ პასუხობენ უბრალო და მარტივ კითხვებზე. ცუდად წერენ, უშვებენ უხეშ ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომებს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება არითმეტიკა ძირულის საშუალო სკოლის IV კლასში (მასწ. დ. ჭანკოტაძე). მოსწავლეებს არ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად ამოხსნან ამოცანები, არ იციან მოქმედებათა რიგის დაცვა. ტაბაკინის რვაწლიანი სკოლის V კლასის (მასწ. გ. აბრამიშვილი) მოსწავლეებმა არ იციან რიცხვთა გაყოფადობა, რიცხვების თანამამრავლებად დაშლა, საერთო უდიდესი გამყოფისა და საერთო უმცირესი ჯერადის პოვნა. ქვედა საქარის საშუალო სკოლის VI კლასის (მასწ. ნ. ნებიერიძე) მოსწავლეთა მომზადების დონე იმდენად დაბალია, რომ მათ ვერ შესძლეს უმარტივესი სახის ამოცანის ამოხსნა.

პირველი სვირის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მასწავლებელი ნ. ხურციძე მოსწავლეებს მხოლოდ მარტივი სახის ამოცანების ამოხსნაზე ავარჯიშებს.

ქვედა საქარის X კლასის მასწავლებელი ი. სალარიძე საშინაო დავალებების შესრულებას არ აკონტროლებს, კმაყოფილდება უბრალო გადახედვით, მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებს.

შესწავლილ სკოლებში ღარიბია ფიზიკის სწავლებისათვის საჭირო ტექნიკური ბაზა, არ არის შექმნილი პირობა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახის ექსპერიმენტის ჩატარებისათვის. რვაწლიან სკოლებში არ აქვთ ტიპობრივი სასწავლო ხელსაწყოების მინიმალური ნუსხით გათვალისწინებული ხელსაწყო-იარაღები და მოწყობილობა; მოუწესრიგებელია ელექტროგაყვანილობა; ვერ ახერხებენ პროგრამით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ სამუშაოს ფრონტალური წესით შესრულებას.

ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ფიზიკის სწავლება ტაბაკინისა და პირველი სვირის რვაწლიან სკოლებში (მასწავლებლები მ. ბლიაძე, ი. კაპანაძე). VI კლასის მოსწავლეები დაუფლებულნი არ არიან ფართობისა და მოცულობის გაზომვას, ვერ ახერხებენ ერთი და იგივე ფართობის სხვადასხვა ერთეულებში გამოსახვას. მათ ვერ შეძლეს საკლასო ოთახის ფართობის გამოანგარიშება და მყარი სხეულის მოცულობის გაზომვა მენზურით.

ტაბაკინის რვაწლიანი სკოლისა (მასწავლებელი გ. ბლიაძე) და ქვედა საქარის საშუალო სკოლის (მასწავლებელი ი. სარალიძე) VII კლასის მოსწავლეები ვერ ახერხებენ ერთი და იგივე სიჩქარის სხვადასხვა ერთეულებში გამოსახვას და საერთოდ არ არიან ნავარჯიშები ამოცანების ამოხსნაზე.

ბოსლეკისა (მასწავლებელი ზ. გეგეშიძე) და ზესტაფონის მე-4 საშუალო (მასწავლებელი ი. კალანდაძე) სკოლების VIII კლასების მოსწავლეებმა სუსტად იციან მექანიკური მოძრაობა; პოტენციური და კინეტიკური ენერგიის ცნება, მექანიკური ენერგიის ერთი სახიდან მეორეში გადასვლა, ნივთიერების აგებულება.

ზესტაფონის მე-4, ქვედა საქარის და ბოსლევის საშუალო სკოლების IX კლასების მოსწავლეები (მასწავლებლები ი. კალანდაძე, ი. სარალიძე, ზ. გეგეშიძე) ვერ ერკვევიან ძირითად ფიზიკურ ცნებებში, მათ ვერ შეძლეს თანაბარცვალებადი მოძრაობის სიჩქარის გამოანგარიშება, აჩქარებასა და ძალას შორის, მასასა და ძალას შორის დამოკიდებულების განსაზღვრა.

მსგავსი მდგომარეობაა ქვედა საქარის საშუალო სკოლაში. მოსწავლეები სუსტად ფლობენ ფიზიკის ელემენტარულ საკითხებს,

არ აქვთ პრაქტიკული მუშაობის ჩვევები, უძნელდებათ მარტივი სახის ამოცანების ამოხსნა.

შემოწმებული სკოლების ქიმიის მასწავლებელთა ნაწილი არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ ატარებს პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს, უგულებელყოფილია ამოცანებზე ვარჯიში და განვლილი მასალის გამეორება, რის გამო ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ქიმიის სწავლება ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის რუსული სექტორის IX—X კლასებში (მასწავლებელი ელ. კუდინოვა). მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ იზომერებზე, ბუტლეროვის ქიმიური აგებულების თეორიის ძირითად დებულებებზე, უჭირთ ქიმიური ფორმულების გრაფიკულად გამოსახვა და სხვ.

ასევე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქიმიის სწავლება ქვედა საქარის საშუალო სკოლის IX კლასში (მასწავლებელი ა. კახნიაშვილი), მოსწავლეები ვერ წერენ უმარტივეს ქიმიურ ტოლობებს, არ იციან ისეთი ცნებების განმარტება, როგორიცაა გრამმოლეკულა, გრამატომი, ვერ ხსნიან უმარტივეს ქიმიურ ამოცანებს და სხვ.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში სათანადო ყურადღება არ ექცევა ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობასა და სწავლებაში გამოყენებას. ქვედა საქარის საშუალო და ტაბაკინის რვაწლიან სკოლებში ქიმიისა და ბიოლოგიის ხელსაწყო-იარაღები მოთავსებულია ერთ კარადაში. ტაბაკინის რვაწლიან სკოლაში ერთცვლიან მეცადინეობაზე გადაყვანის მიზნით სასწავლო კაბინეტები გაუქმებულია.

შემოწმებული სკოლების საერთო ნაკლია ის, რომ არ წარმოებს არსებულ ხელსაწყო-იარაღების აღრიცხვა.

ქვედა საქარის საშუალო სკოლის ლაბორანტი მ. ქაცარიძე არ იცნობს იმ ელემენტარულ მოთხოვნილებას, რაც აკისრია ლაბორანტს სკოლაში.

შესწავლილ სკოლებში მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია მოითხოვს საგრძნობ გაუმჯობესებას. არ ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება და განზოგადება. სხდომებზე ნაკლებად იხილავენ პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ მეთოდური ხასიათის წერილებს და სათანადო მუშაობას არ წარმართავენ განათლების სამინისტროს მიერ [illegible] ბრძანებათა

შესრულებისათვის სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების/ გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სკოლების ერთ ნაწილში სუსტად არის დაყენებული დირექტორებისა და მათი მოადგილეების მიერ მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა, ხოლო მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი უმრავლეს შემთხვევაში ატარებს ფორმალურ ხასიათს.

განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებით არ ეკიდება მიცემულ მითითებათა შესრულების შემოწმებას, რის გამო ნაკლოვანებები სკოლებში კვლავ გამოუსწორებელი რჩება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. მ. ჩიქოვანი):

ა) აღნიშნული ბრძანება განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მითითებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) მიიღოს ორგანიზაციული ხასიათის ზომები ბრძანებაში დასახელებულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მიმართ. სასწავლო წლის დამთავრებისას განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს წინადადება იმ მასწავლებელთა გათავისუფლების ან ჩამოქვეითების შესახებ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მუშაობის გამოსწორებას;

გ) მომაკალი წლის 15 თებერვლისათვის წერილობით მოახსენოს განათლების სამინისტროს რაიონის სკოლებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) რაიონის განათლების განყოფილების მოთხოვნილების მიხედვით დააკომპლექტოს სკოლები რუსული ენის კვალიფიციური მასწავლებლებით.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 24 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 14 დეკემბრის ბრძანება № 1393

რესპუბლიკის ხახალხო განათლების ორგანოებში მოსწავლეთა სამხედრო მომზადების საკითხებზე საქმის წარმოების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ზოგიერთი განათლების განყოფილება ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდება სამხედრო სწავლების საკითხებზე განათლების სამინისტროს დადგენილებების, ბრძანებებისა და მითითებების დროულად შესრულებას. ასე, მაგალითად, ადიგენის, ბოგდანოვკის, დმანისის, ყვარლის, მარნეულის, თეთრიწყაროს, თიანეთის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებს დღემდე არ წარმოუდგენიათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 21 ოქტომბრის № 1105 ბრძანების შესრულების შესახებ მოხსენებითი ბარათები (წარმოდგენის ვადა იყო 1967 წლის 1 დეკემბერი). ზემოაღნიშნულ განათლების განყოფილებებს აგრეთვე არ წარმოუდგენიათ სამოქალაქო თავდაცვის ქონებისა და იარაღების აღრიცხვის შევსებული ბარათები, რომლის წარმოდგენის ვადად დაწესებული იყო 1967 წლის 20 ნოემბერი. რიგ განათლების განყოფილებებში სამხედრო სწავლებასთან დაკავშირებული მიმოწერა საერთო საქმეშია მოთავსებული და მის შესრულებაზე არავითარი კონტროლი არ არის დაწესებული.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. მოსწავლეთა სამხედრო სწავლების საკითხებზე მიღებული დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები და სხვა სახელმძღვანელო მასალები შეინახონ სპეციალურ—„სამხედრო მომზადების საქმეში“.

2. სისტემატური კონტროლი დააწესონ სკოლების მუშაობაზე, რათა ამ მიმართებით ჩასატარებელი მუშაობა და ღონისძიებები ტარდებოდეს ზუსტად და დროულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მოსწავლეთა სამხედრო მომზადების საკითხებთან დაკავშირებული ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და ბრძანებების დაყვანა სკოლებამდე აწარმოონ სწრაფად და შეუფერხებლად.

4. რეგულარულად მოისმინონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე საკითხი, თუ როგორ სრულდება სკოლების მიერ სახელმძღვანელო დადგენილებები, ბრძანებები და მითითებები მოსწავლეთა სამხედრო მომზადების შესახებ.

5. სახალხო განათლების განყოფილებებში „სამხედრო მომზადების საქმის“ წარმოება დააკისრონ განყოფილების ინსპექტორს, რომელსაც ბრძანებით დავალებული აქვს მოსწავლეთა სამხედრო მომზადებაზე ხელმძღვანელობა და სამოქალაქო თავდაცვის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარეს.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო განყოფილებათა მუშაკებმა ამხ. ამხ. ა. ორახელაშვილმა და ი. უშვერიძემ კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები პერიოდულად მომახსენონ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 19 დეკემბრის ბრძანება № 1421

საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის გარეშე დარჩენილ სასკოლო ასაკის მოზარდთა ეკანვრთელობის მდგომარეობისა და მათი სწავლებაში ჩაბმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის 1967 წლის 18 ნოემბრის № 11 დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 1968 წლის 1 იანვრიდან გაიხსნას სმენადაქვეითებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატი 120 აღსაზრდელისათვის ქ. თბილისში კანდელაკის ქუჩაზე მდებარე ბაგა-ბაღის შენობაში.

2. 1968 წლის—1 სექტემბრიდან ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის კონტინგენტი გადიდდეს 70 აღსაზრდელით, ხოლო ამავე რიცხვიდან გაიხსნას გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა განსაკუთრებული რეჟიმის 2 სკოლა-ინტერნატი 360 ბავშვისათვის.

3. ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა საშუალო სკოლა-ინტერნატთან გაიხსნას სუსტადმხედველ ბავშვთა კლასები და 1970/71 სასწავლო წლამდე მომზადდეს პირობები სუსტადმხედველ ბავშვთათვის ცალკე სკოლა-ინტერნატის გასახსნელად.

4. გაიხსნას 1969 წელში სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და დამხმარე სკოლების რესპუბლიკური მეთოდ-კაბინეტი უსინათლო, ყრუ, გონებაჩამორჩენილ, სმენაჩლუნგ, სუსტადმხედველ ბავშვთა და სხვა სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების დამუშავებისა და ადგილებზე მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად 1968 წლის

საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს სპეციალური სკოლა-ინტერნატებისათვის სახელმძღვანელოების გამოცემა.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაშაძე) უზრუნველყოს ახლადგახსნილ სპეციალური სკოლა-ინტერნატების დაფინანსება.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) სასწრაფოდ წარმოადგინოს პროექტი გონებით ჩამორჩენილ 360 ბავშვისათვის 2 ახლად გასახსნელი სკოლა-ინტერნატის გახსნის თაობაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 26 დეკემბრის ბრძანება № 1450

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგებისა და 1968 წლის კონფერენციისათვის მზადების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ა. წ. 14—15 ნოემბერს მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტისა და პედაგოგიური საზოგადოების მიერ მოწვეული რესპუბლიკური სამეცნიერო პედაგოგიური კონფერენცია, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა.

პედაგოგიკის, ჰუმანიტარული ციკლის საგნებისა და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური ციკლის საგნების მასწავლებელთა სექციებში საინტერესო და მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავებული მოხსენებები წაიკითხეს მასწავლებლებმა, სახალხო განათლების ორგანოების წარმომადგენლებმა და პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის თანამშრომლებმა. მოხსენებებში საჭირო სისრულით აისახა სკოლის მუშაობის აქტუალური საკითხები, სკოლისა და პედაგოგიკის მეცნიერებათა განვითარება საბჭოთა ხელისუფლების წლებში. სექციების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც ქ. თბილისის, ასევე რესპუბლიკის ცალკეული რაიონებისა და ქალაქების სკოლების მასწავლებლებმა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდნენ:

2. გ. ბერიკაშვილი (თელავის 1-ლი ბაგა-ბაღის აღმზრდელი) —მოხსენებისათვის: როგორ ვიყენებ თამაშს საბავშვო ბაღში ახლადმოსული ბავშვების კოლექტივში გაერთიანებისათვის.“

3. ა. ბუაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული სკოლა)—მოხსენებისათვის: „თვალსაჩინოების გამოყენება სივრცითი სხეულების შესწავლისათვის საშუალო სკოლის უფროს კლასებში“ (საკუთარი კონსტრუქციის მოდელები).

4. გ. ბუთხუზი (დუშეთის რაიონის კაიშაურების საშუალო სკოლის მასწავლებელი) — მოხსენებისათვის: „როგორ ვმუშაობ მოსწავლეებთან თავისუფალ თემებზე“.

5. მ. ბურჭულაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის სექტორის გამგე)—მოხსენებისათვის: „საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები საბჭოთა საქართველოში“.

6. მ. გელაშვილი (თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი)—მოხსენებისათვის: „როგორ ვაღწევ მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ წარმატებას ბიოლოგიაში“.

7. ნ. გელაშვილი, ა. ნემსაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები) მოხსენებისათვის: რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება საბჭოთა საქართველოს სკოლებში“.

8. ბ. გოგოლაძე პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი)—მოხსენებისათვის: „ტექნიკის ელემენტების სწავლების ისტორია ქართულ საბჭოთა სკოლაში“.

9. ი. გოცირიძე (თბილისის 43-ე საშუალო სკოლის დირექტორი)—მოხსენებისათვის: „კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის გამოცდილებიდან“.

10. ლ. გუგავა (ცაგერის რაიონის ჩხუტელის საშუალო სკოლის მასწავლებელი)—მოხსენებისათვის: „მოსწავლეთა ქცევის წესები“ და მისი შესრულების ორგანიზაცია დაწყებით კლასებში“.

11. დ. გურგენიძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის სექტორის გამგე)—მოხსენებისათვის: „სრულიად საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობა“.

12. ა. ზაქარეიშვილი (თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მასწავლებელი)—მოხსენებისათვის „როგორ ვასწავლი თემას—სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება“.

13. მ. თაბორიძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)—მოხსენებისათვის: „ქართული ლიტერატურის სწავლება საბჭოთა საქართველოს სკოლებში“.

14. კ. თანდელავი (ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი)—მოხსენებისათვის: „შრომითი სწავლების კავშირი მათემატიკის სასკოლო კურსთან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. რ. თაყაიშვილი (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი—(მოხსენებისათვის „ლოგოპედიური მუშაობა ქართულ საბჭოთა სკოლაში“.

16. ვ. კაპანაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის სექტორის გამგე)—მოხსენებისათვის: „ბიოლოგიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში“.

17. რ. კილაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)—მოხსენებისათვის: „შრომითი და პოლიტექნიკური სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში“.

18. ნ. ლეჟავა (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის სექტორის გამგე)—მოხსენებისათვის: „სკოლამდელი აღზრდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში“.

19. ი. მახარაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის სექტორის გამგე)—მოხსენებისათვის: „ისტორიის სწავლება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე“.

20. მ. მაჩაბელი (ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის თანამშრომელი)—მოხსენებისათვის: კლასგარეშე მუშაობა რუსულ ენაში“.

21. ც. მირესაშვილი (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი)—მოხსენებისათვის: „სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში“.

22. გ. სანაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი)—მოხსენებისათვის: „ფიზიკის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში“.

23. მ. სიმონია (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)—მოხსენებისათვის: „საშუალო და უმაღლესი პედაგოგიური განათლება საბჭოთა საქართველოში“.

24. ქ. სირაძე (სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი)—მოხსენებისათვის: „როგორ ვიყენებ კონტურულ რუკას გეოგრაფიის სწავლებისას საშუალო სკოლაში“.

25. ნ. სიხარულიძე (თბილისის 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი)—მოხსენებისათვის: როგორ ვასწავლი ტიპობრივი ამოცანების ამოხსნას მესამე კლასში“.

26. ე. სურგულაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი)—მოხსენებისათვის: „წერითი მუშაობის როლი ფიზიკაში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების საქმეში“.

27. ე. ფერაძე თბილისის 23-ე საღამოს (ცვლის) სკოლის დირექტორი)—მოხსენებისათვის: „დირექტორის მუშაობა საღამოს (ცვლის) სკოლაში“.

28. ბ. ფუთურიძე (თბილისის 1-ლი სკოლის მასწავლებელი) —მოხსენებისათვის: „ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელის“ სწავლება“.

29. ე. ქურციკიძე (თბილისის მე-16 საშუალო სკოლის მასწავლებელი) მოხსენებისათვის: „რა მუშაობას ვატარებ მეგობრობისა და ინტერნაციონალური გრძნობების აღზრდისათვის „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას.

30. შ. შათირიშვილი (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის სექტორის გამგე)—მოხსენებისათვის: „უცხოური ენების სწავლება საბჭოთა საქართველოს სკოლებში“.

31. ი. შტეინბერგი (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი) მოხსენებისათვის: „მათემატიკის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში“.

32. მ. ჩხარტიშვილი (თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი)—მოხსენებისათვის: „გერმანული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულების სწავლების საკითხისათვის ქართულ სკოლაში“.

33. შ. ცაგარეიშვილი (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის სექტორის გამგე)—მოხსენებისათვის: „ქიმიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში“.

34. ა. ციცხვაია (აჭარის ასსრ პიონერთა საოლქო სახლის მხარეთმცოდნეობის კლუბის ხელმძღვანელი) მოხსენებისათვის: „მხარეთმცოდნეობითი მუშაობის როლი პიონერ-მოსწავლეთა პატრიოტულ აღზრდაში“.

35. თ. ცხვედიანი (ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლის მასწავლებელი)—მოხსენებისათვის: როგორ ვასწავლი ე. ნინოშვილის „გოგია უიშვილს“.

36. გ. ჭანიშვილი (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის სექტორის გამგე)—მოხსენებისათვის: „ესთეტიკური აღზრდა სკოლაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში“.

37. ქ. ჭანუყვაძე (მახარაძის რაიონის შემოქმედის საშუალო სკოლის მასწავლებელი)—მოხსენებისათვის: „როგორ შევკრიბეთ მოსწავლეთა ძალებით სოფლის ტოპონიმიკის საუნჯე“.

38. ლ. ჭეიშვილი (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)—მოხსენებისათვის: „ქართული ენის სწავლება საბჭოთა ხელისუფლების წლებში“.

39. ბ. ხაჭაპურიძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის გამგე)—მოხსენებისათვის: „დაწყებითი კლასების მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებანი“.

40. შ. ხუნდაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)—მოხსენებისათვის: „გეოგრაფიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში“.

41. თ. ჯაფარიძე (საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი)—მოხსენებისათვის: „სურათზე მუშაობის მეთოდიკა რუსული ენის სწავლებისას ქართულ რვაწლიან სკოლაში“.

42. ნ. ჯაფარიძე (საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი)—მოხსენებისათვის: „ქიმიის სწავლების აქტივიზაციის გზები და საშუალებები“.

2. მორიგი, XIX რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია ჩატარდეს 1968 წლის მარტის არდადეგების დღეებში.

3. რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პედაგოგიური მეცნიერების აქტუალური საკითხების დამუშავებას და მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების განზოგადებას.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტს 1968 წლის 20 იანვრამდე გამოუგზავნონ საუკეთესო მოხსენებები და წერილობითი ანგარიში „პედაგოგიური კითხვის“ ჩატარების შედეგების შესახებ.

5. პედაგოგიკის მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა, საქართველოს სსრ პედაგოგიურ საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, სისტემატური დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ განათლების ადგილობრივ ორგანოებს მოხსენებების შერჩევასა და მომზადებაში და „პედაგოგიურ კითხვას“ დაასწრონ თავიანთი წარმომადგენლები.

6. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების გამომცემლობამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) მიიღოს ზომები რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე მოწონებულ პროექტების მასწავლებელთა მოხსენებების გამოსაქვეყნებლად.

7. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ კონფერენციაზე წაკითხული საუკეთესო მოხსენებები და ფართოდ გააშუქონ 1968 წლის „პედაგოგიური კითხვისა“ და რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადების საკითხები.

8. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების“ უახლოეს ნომერში და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა მორიგ კრებულში:

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინინისტროს კოლეგიის 1967 წლის 22 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 26 დეკემბრის ბრძანება № 1451

სურამის საბავშვო სახლში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ

გავეცანი რა სურამის საბავშვო სახლში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ მოკვლეულ მასალას, აღვნიშნავ, რომ სურამის საბავშვო სახლში თანამშრომელთა ერთი ნაწილის საქმისადმი უსულგულო, დაუდევარ და დანაშაულებრივ დამოკიდებულების შედეგად ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას: იზოლატორში მოთავსებულ მცირეწლოვან ნათელა გერმანეს ასულ კულუხაშვილს მოედო ცეცხლი, მან მიიღო მძიმე დაზიანება და საავადმყოფოში მიყვანის მეორე დღეს გარდაიცვალა.

აღსაზრდელ ნ. გ. კულუხაშვილის ტრაგიკულად დაღუპვა გამოწვეულია მომვლელ-დამლაგებლის ვალია ნიკოლოზის ასულ ხარაზიშვილის მიერ აღსაზრდელის იზოლატორში უმეთვალყურეოდ დატოვებით, საბავშვო სახლის პასუხისმგებელი მორიგის მარგარიტა ვლადიმერის ასულ გლუნჩაძის უკონტროლობითა და საბავშვო სახლის დირექტორის გულგრილობით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სურამის საბავშვო სახლის დირექტორი ს. ნ. გოგოლაძე, რომელმაც გულგრილობა გამოიჩინა ავადმყოფ აღსაზრდელისადმი, არ გააფრთხილა საბავშვო სახლის მორიგე და მომვლელი, რომ ამ უკანასკნელს საჭირო ყურადღება მიექცია ავადმყოფი ბავშვისათვის — მოიხსნას სამუშაოდან, როგორც დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებელი.

2. ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. კ. ნადირაძემ შრომის კანონმდებლობის დაცვით:

ა) საბავშვო სახლის მომვლელი ვალია ნიკოლოზის ასულ ხარაზიშვილი, რომელმაც გამოიჩინა მოვალეობის შესრულებისად-

მი დაუშვებელი გულგრილობა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, იზოლატორში მარტო დატოვა ავადმყოფი ბავშვი, რომაც გამოიწვია უბედური შემთხვევა—მოხსნას თანამდებობიდან და მისცეს პასუხისგებაში:

ბ) სურამის საბავშვო სახლის პასუხისმგებელ მორიგე-აღმზრდელი მარგარიტა ვლადიმერის ასული გლუნჩაძე, რომელმაც არ შეამოწმა იზოლატორში მყოფი ავადმყოფი აღსაზრდელის მდგომარეობა და არ გააკონტროლა მომვლელის იზოლატორში ყოფნა—მოხსნას სამუშაოდან.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 22 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1967 წლის 29 დეკემბერი

1967—1968 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის პირობების მომზადების, მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სხვა დარგში.

1967 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამრეწველო წარმოებებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა თავიანთი ინიციატივით, სახსრებითა და მასალებით 188 სკოლის შენობას მიუშენეს 628 საკლასო ოთახი 11832 მოსწავლე ადგილით, რაზედაც დაიხარჯა 3 მილიონ 190 ათასი მანეთი.

ქ. ჭიათურამ 12 სკოლას მიუშენა 52 საკლასო ოთახი 1580 მოსწავლე ადგილით, რაზედაც დაიხარჯა 756 ათასი მანეთი.

ზუგდიდის რაიონმა 14 სკოლას მიუშენა 136 საკლასო ოთა-

ხი2249 მოსწავლე ადგილით და ამ საქმეს მოახმარა 189 ათასი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის რაიონმა 11 სკოლას მიუშენა 61 საკლასო ოთახი 1490 მოსწავლე ადგილით და დაიხარჯა 146 ათასი მანეთი.

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და საშეფო ორგანიზაციებმა სასკოლო მშენებლობას მოახმარეს 74 ათასი მანეთი.

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა და სხვა ორგანიზაციებმა სასკოლო მშენებლობაზე დახარჯეს 73 ათასი მანეთი.

სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს და საბავშვო დაწესებულებებს აგრეთვე დიდი დახმარება გაუწიეს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმის, მახარაძის, ლანჩხუთის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ზესტაფონის რაიონებმა.

რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, სასკოლო ბიბლიოთეკების, სახელოსნოების საჭირო ხელსაწყოებით, წიგნებით, თვალსაჩინო დიდაქტიკური და სასწავლო მასალებით მომარაგებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს 1967—1968 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცეს ქ. ჭიათურისა და ზუგდიდის რაიონს.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცეს გორის, თელავის და ცხაკაიას რაიონებს.

3. გორისა და თელავის რაიონებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები, განათლების სამინისტროს ბიუჯეტის სახსრებიდან გამოე-

ყოთ 1000—1000 მანეთი თვითეულს სასკოლო ინვენტარისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობის შეძენისა და შევსებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. აღინიშნოს, რომ 1967/68 სასწავლო წლისათვის მზადების მასალები, მიუხედავად შეხსენებისა, არ წარმოუდგენიათ ქ. სოხუმის, სოხუმის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ცხინვალის, ჯავის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, გეგეჭკორის, ყაზბეგის, მარნეულის, თიანეთის, ხაშურის რაიონებს.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონულ, საქალაქო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) ამთავითვე გაშალონ რაიონებსა და ქალაქებს, სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებს შორის სოციალისტური შეჯიბრება ახალი, 1968—1969 წლისთავის საუკეთესოდ მომზადებისათვის და აქტიურად ჩააბან ამ საქმეში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები, სამეურნეო და საშეფო ორგანიზაციები;

ბ) 1968 წლის 1 ოქტომბრამდე შეაჯამონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და შედეგები 15 ოქტომბრამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1967 წლის 29 დეკემბერი

რესპუბლიკის სკოლებსა და განათლების სხვა დაწესებულებებში შრომის წიგნაკების წარმოების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ „რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოებისა და საარქივო დოკუმენტების შენახვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად განათლების სამინისტრომ და პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 1967 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლამდელ და სკოლის გარეშე დაწესებულებებსა და განათლების სხვა დაწესებულებებში ჩაატარეს შრომის წიგნაკების წარმოების, მათი მოძრაობის აღრიცხვისა და საარქივო დოკუმენტების შენახვის მდგომარეობის დათვალიერება-შემოწმება. აღმოჩნდა, რომ რიგი რაიონების განათლების განყოფილებები, სკოლებისა და სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელები სერიოზულ ყურადღებას არ უთმობენ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

რესპუბლიკის ბევრ სკოლას და საბავშვო დაწესებულებას არ გააჩნია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1958 წლის 9 ივლისის № 620 დადგე-

ნილებით დამტკიცებული ინსტრუქცია—„საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოების წესის შესახებ“, რის გამოც სკოლებისა და განათლების სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელები კარგად ვერ ერკვევიან შრომის წიგნაკების წარმოების საქმეში და მათი შევსებისას უშვებენ შეცდომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებს არა აქვთ შრომის წიგნაკების დანართი ფურცლების ცარიელი ბლანკების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და შრომის წიგნაკების მოძრაობის დაწესებული ფორმის დავთრები.

ადგილი აქვს შრომის წიგნაკების დაგვიანებით შევსების, მომუშავეთა მიერ სამუშაოზე შრომის წიგნაკების არა დროული წარდგენის ხშირ შემთხვევებს. ასე, მაგალითად, ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატში 72 მომუშავიდან შრომის წიგნაკი შევსებული არ ჰქონდა 63 მუშაკს, საჩხერის რაიონის სოფ. კორბოულის პირველ საშუალო სკოლაში შრომის წიგნაკი არ ჰქონდა 8 მომუშავეს, ცხინვალის განათლების განყოფილების 19 მომუშავიდან—7 მუშაკს, ხეთაგუროვის საშუალო სკოლის 34 მუშაკიდან შრომის წიგნაკი აღმოაჩნდა მხოლოდ 23-ს, გარდაბნის რაიონის რუისბოლოს რვაწლიანი სკოლის 25 მუშაკიდან წიგნაკები შევსებული არ ჰქონდა 12-ს, ახალი ულიანოვკის რვაწლიანი სკოლის 23 მუშაკიდან—10-ს, ჯანდარის სკოლის 27 მუშაკიდან—12-ს, ახმეტის ბაგა-ბაღში შრომის წიგნაკი შევსებული არ ჰქონდა 29 მუშაკს, წითელწყაროს სკოლა-ინტერნატში—16 კაცს და ა. შ.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მომუშავეზე შევსებულია შრომის წიგნაკები, მაგრამ მათში შეტანილი არ არის ყველა ჩანაწერი მუშაობის ადგილის შესახებ. გარდაბნის რაიონის სოფ. ჯანდარის რვაწლიან სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად 4 წელია მუშაობს ნ. თ. ჯავახია, მაგრამ მის შრომის წიგნაკში არ არის ჩანაწერი ამ სკოლაში დანიშვნის შესახებ; ამავე სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ფ. ფ. რაგიმოვა მე-6 წელია მუშაობს, მაგრამ ამის შესახებ მის წიგნაკში არაფერია ჩაწერილი; ცხინვალის რაიონის სოფ. ავნევის საშუალო სკოლის მასწავლებლის მ. მილიდისოვას შრომის წიგნაკში ბოლო ჩანაწერია 1949 წ. 20 აგვისტო. მისი ამ სკოლიდან განთავისუფლებისა და ავნევის სკოლაში დანიშვნის შესახებ არ არის ჩანაწერები; ასევე ამავე სკოლის მასწავლებლის გ. გაზაევის შრომის

წიგნაკში აღნიშნულია მისი ვახანის საშუალო სკოლაში დანიშვნა, ხოლო იქიდან განთავისუფლებისა და მისი ავნევის სკოლაში დანიშვნის შესახებ არ არის აღნიშნული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი მასწავლებლისა და სხვა მუშაკის შრომის წიგნაკში შეუსაბამო, ზოგჯერ უაზრო და კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ჩანაწერებია, რაც უკარგავს ამ დოკუმენტს მნიშვნელობას და შეუძლებელს ხდის გამოყენებულ იქნას იგი მომუშავეთა შრომის სტაჟის დადგენისათვის.

უმრავლეს შემთხვევაში შრომის წიგნაკებში შეტანილია არა სწორი ჩანაწერები: „მიღებული იქნას“, „დაინიშნოს“, „გადაყვანილ იქნას“, „განთავისუფლდეს“, „დათხოვნილ იქნას“, ნაცვლად: „მიღებულია“, „დანიშნულია“, „გადაყვანილია“, „გათავისუფლებულია“ „დათხოვნილია“, როგორც ეს ინსტრუქციით არის გათვალისწინებული.

ქართულ სკოლებში შრომის წიგნაკები უმეტესად შევსებულია მხოლოდ ქართულ ენაზე, ისინი არ არის შევსებული რუსულ ენაზეც.

ბევრ შრომის წიგნაკში არ არის მფლობელის ხელის მოწერა, არაა დათარიღებული, თუ როდის იქნა შევსებული იგი, ჩანაწერები არ არის დასათაურებული დაწესებულებათა დასახელებით.

ზოგჯერ შრომის წიგნაკებში არ არის ნაჩვენები საფუძველი სამუშაოზე მიღების შესახებ (დანიშვნის ბრძანების ნომერი და თარიღი).

ხშირ შემთხვევაში შრომის წიგნაკებში ჩანაწერები წარმოებულია უსუფთაოდ, ჩანაწერთა შორის გამოტოვებულია ცარიელი სტრიქონები, ადგილი აქვს ჩანაწერების წაშლის, გადასწორების შემთხვევებს.

არის შემთხვევები, როდესაც სკოლის მუშაკები გათავისუფლებული არიან სკოლიდან და შრომის წიგნაკები არ წაუღიათ.

ბევრ სკოლაში და განათლების სხვა დაწესებულებაში მოვლილი და შენახული არ არის საარქივო დოკუმენტები, რიგი სკოლების ხელმძღვანელები და კანცელარიის მუშაკები ვერ ერკვევიან თუ რა დოკუმენტები უნდა შეინახონ და რა ვადით.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, რუსთავის, გორის და ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ლაგოდეხის,

ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მარნეულისა და სამტრედიის რაიონების განათლების განყოფილებებს და პროფკავშირის საოლქო კომიტეტებს დღემდე არ წარმოუდგენიათ შრომის წიგნაკების წარმოების, მათი მოძრაობის აღრიცხვისა და საარქივო დოკუმენტების შენახვის მდგომარეობის დათვალიერება-შემოწმების შედეგებზე მოხსენებები, ხოლო ზოგიერთი რაიონის მიერ წარმოდგენილი მასალები არ იძლევა ამ საქმეში არსებულ ნამდვილ სურათს (თერჯოლის, ყაზბეგის, წითელწყაროს რაიონები).

ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები, პროფკავშირის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტები სისტემატურად არ ამოწმებენ დაქვემდებარებულ დაწესებულებებში შრომის წიგნაკების წარმოებისა და საარქივო დოკუმენტების შენახვის მდგომარეობას და შედეგებს არ იხილავენ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის კომიტეტების სხდომებზე, არ ღებულობენ ქმედით ზომებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოებისა და საარქივო დუკუმენტების შენახვის მდგომარეობის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად, რისთვისაც:

ა) ყველა განათლების განყოფილების ბუღალტერიაში მოაწყონ მიღებული შრომის წიგნაკებისა და ჩანართი ფურცლების ცარიელი ბლანკების შემოსავალ-გასავლის დაწესებული ფორმით აღრიცხვა;

ბ) უზრუნველყონ ყველა სკოლაში, სკოლა-ინტერნატში, სკოლამდელ და სკოლის გარეშე დაწესებულებაში შრომის წიგნაკებისა და ჩანართი ფურცლების ცარიელი ბლანკების შემოსავალ-

გასავლისა და შრომის წიგნაკების მოძრაობის აღრიცხვა არსებული წესის ზუსტი დაცვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უახლოეს დროში ყველა მომუშავეს შეუვსონ შრომის წიგნაკი იმ წესების ზუსტი დაცვით, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1958 წლის 9 ივლისის № 620 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით არის გათვალისწინებული, ამასთან შრომის წიგნაკების შევსება აწარმოონ როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე;

სამუშაოდან განთავისუფლებისას მომუშავეს საბოლოო ანგარიშის გასწორებისთანავე მისცენ სათანადოდ გაფორმებული შრომის წიგნაკი;

დ) როგორც განათლების განყოფილებებში, ისე სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში უზრუნველყონ არსებული წესის დაცვით საარქივო დოკუმენტების შენახვა და მათი მოვლა-პატრონობა;

ე) სკოლებისა და განათლების დარგის სხვა დაწესებულებათა ინსპექტირების დროს შეამოწმონ შრომის წიგნაკებისა და ჩანართი ფურცლების ცარიელი ბლანკების შემოსავალ-გასავლისა და შრომის წიგნაკების მოძრაობის აღრიცხვა და მათი წარმოების მდგომარეობა, აგრეთვე საარქივო დოკუმენტების შენახვისა და მოვლა-პატრონობის საქმე. შედეგები განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის კომიტეტების სხდომებზე და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, რუსთავის, გორის და ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მარნეულის და სამტრედიის განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის შესაბამის კომიტეტებთან ერთად, ათი დღის ვადაში წარმოადგინონ შრომის წიგნაკების წარმოების თაობაზე ჩატარებული დათვალიერება-შემოწმების შედეგები და ახსნა-განმარტება დავალების შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ.

3. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის შრომისა და ხელფასის განყოფილებამ (ე. ნაკაშიძე) თვალყურადღებიანად ნონ ამ დადგენილების შესრულებას და საჭირო შემთხვევაში ზომების მისაღებად მოახსენონ განათლების სამინისტროს კოლეგიას და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 30 დეკემბრის ბრძანება № 1487

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების—საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1967 წლის აგვისტოში მიიღო დადგენილება—„საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც ნაჩვენებია მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში, განსაზღვრულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა ადგილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ანტიკომუნიზმის, „მემარჯვენე“ და „მემარცხენე რევიზიონიზმის წინააღმდეგ სოციალისტური ქვეყნების წარმატებითი ბრძოლისათვის მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მთელი რიგი შრომები, რომლებშიც მეცნიერული სიზუსტით გაანალიზებულია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, მაგრამ კომუნისტური მშენებლობისა და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მძლავრი იდეოლოგიური ბრძოლის ამოცანები მოითხოვენ საზოგადოების განვითარების ღრმა ანალიზს, თეორიული აზრის შემდგომ განვითარებასა და კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებას.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სწორედ ფუნდამენტალური თეორიული პრობლემების კვლევის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ჩამორჩენას; სათანადო სიღრმით არ მუშავდება თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი, კომუნისტური საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის

ამაღლებისა და ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების საკითხები. შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უახლეს მიღწევათა ფილოსოფიურ განზოგადებას, კომუნიზმის მშენებლობის პირობებში სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების აუცილებლობას, ვინაიდან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგში თეორიული აზრის უფრო სწრაფ განვითარებას, მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესის მრავალმხრივ და დეტალურ ანალიზს, კადრების თეორიული და იდეური მომზადების გაუმჯობესებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება—„საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ“ და თეზისები—„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი“ წარმოადგენენ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზე მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და განსაკუთრებით კი ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, ლიტერატურისა და ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნაჩვენებია საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჩამორჩენილობის აღმოფხვრისა და მათი შემდგომი განვითარების გზები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მოსწავლეთა იდეური წრთობისა და ჰუმანიტარული ციკლის საგნების სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად შეისწავლონ სკოლებში ამ საგნების სწავლების მდგომარეობა და იგი კოლეგიებისა და განათლების საბჭოების მსჯელობის საგნად გახადონ.

ფართოდ განაზოგადონ და დანერგონ იმ პედაგოგების გამოც-

დილება, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში. ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა იდეურ და შემოქმედებით ზრდას, და მათ დასახმარებლად ხშირად მოაწყონ თათბირები, სემინარები, კონფერენციები და სხვ.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი):

ა) ისტორიის, ლიტერატურის, საზოგადოებათმცოდნეობისა და ესთეტიკური ციკლის საგნების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაატაროს საგანგებო ღონისძიებანი; პერიოდულად ჩაატაროს ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა სემინარები;

ბ) შეიმუშაოს წინადადებანი ჰუმანიტარული ციკლის საგნების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუდმივმოქმედი კურსების შექმნის შესახებ და წინადადებათა პროექტი 1968 წლის 10 თებერვლამდე განსახილველად წარუდგინოს განათლების სამინისტროს.

3. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა (გ. ფოფხაძე) და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა განაზოგადონ და ფართოდ დანერგონ ჰუმანიტარული ციკლის საგნების იმ მასწავლებელთა გამოცდილება, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს საგნების სწავლებისა და მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

4. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პედაგოგიკის უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხების კვლევა-ძიებასა დი მათი პრაქტიკაში დანერგვის საქმეს;

ბ) ისტორიასა, საზოგადოებათმცოდნეობასა და ლიტერატურაში დამხმარე და მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადებასთან ერთად, 1968 წლის 1 დეკემბრამდე რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სათანადო კადრებთან თანამშრომლობით შეადგინოს პედაგოგიკის ახალი სახელმძღვანელო.

5. მხატვრული აღზრდის სამეცნიერო მეთოდურმა კაბინეტმა (ჯ. მუჯირი) ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან ერთად, ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლების გაუმჯობესების მიზნით, დაამუშაოს სათანადო

მითითებანი, რეკომენდაციები. შეადგინოს და გამოსაცემად მოამზადოს დამხმარე და მეთოდური სახელმძღვანელოები.

6. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა (ს. ტუ-მალაძე) და მეთოდურმა (ვ. ცაავა) განყოფილებებმა შეარჩიონ და 1968 წელს დამატებით გაითვალისწინონ როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი მეთოდური და სხვადასხვა სახის დამხმარე ლიტერატურის გამოცემა ისტორიასა, საზოგადოებათმცოდნეობასა, ლიტერატურასა, მუსიკასა და ხატვაში (ყველა სასწავლო სახელმძღვანელოების მიხედვით).

7. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლების მომარაგება ჰუმანიტარული ციკლის საგნების სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის საჭირო სასწავლო თვალსაჩინოებითა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით; განსაკურებული ყურადღება მიაქციოს სარაიონო ფილმოტეკების ახალი ფილმებითა და საჭირო რაოდენობით ასლებით მომარაგების საქმეს.

8. სკოლების (დ. ჯავახია), სალამოსა და დაუსწრებელი სწავლების (რ. კანდელაკი) სამმართველოებმა მეთოდურ განყოფილებასთან ერთად მიმდინარე სასწავლო წლის მესამე მეოთხედში რესპუბლიკის ოთხი რაიონის სკოლებში შეისწავლონ ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მდგომარეობა.

9. ეთხოვოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ჰუმანიტარული ციკლის საგნების მასწავლებელთა დასახმარებლად მოაწყოს სპეციალური მუდმივმოქმედი კურსები.

10. ეთხოვოს საქართველოს სსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. კ. გარდაფხაძე) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთათვის სისტემატურად მოაწყოს საუბრების და ლექციების გადაცემა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ, წინასწარ შემუშავებული და პედაგოგიურ პრესაში გამოქვეყნებული თემატიკის მიხედვით.

11. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე სკოლების დასახმარებლად საქართველოს ტელევი-

ზიასთან სპეციალურ სასკოლო გადაცემათა რედაქციის შექმნისა და დამატებითი არხის გამოყოფის შესახებ.

12. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლის ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში საზოგადოებრივ მეცნიერებათა უდიდესი მნიშვნელობის შესახებ.

13. ეს ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი ჰუმანიტარული ციკლის საგნების სწავლების გასაუმჯობესებლად.

14. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 22 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს კოლეგიის
1967 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით

სმენადაქვეითებულ ბავშვთა განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-ინტერნატის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. სკოლა-ინტერნატის მიზნები და ამოცანები

1. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკურ საწარმოოსწავლებიან სკოლას და ახორციელებს სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა (ბიჭებისა და გოგონების) სავალდებულო ერთობლივ სწავლებას 7 წლის ასაკიდან 18 წლამდე ჩათვლით.

2. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატი ასრულებს რა კომუნისტური აღზრდის ამოცანებს, მოსწავლეებს აძლევს ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტექნიკური ცოდნის საფუძვლებს, უზრუნველყოფს მათ პროფესიულ მომზადებას, ზრდის შრომისადმი სიყვარულს და საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის მზადყოფნის სურვილს, ახორციელებს ბავშვთა ზნეობრივ, ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას, ამ ამოცანების შესრულება სპეციალური სწავლების პირობებში გულისხმობს სმენის დაქვეითების შედეგების გადალახვას, მოსწავლეთა მეტყველების როგორც ურთიერთობის საშუალებისა და აზროვნების იარაღის განვითარებას.

მოსწავლეებს, რომლებმაც დაამთავრეს სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლა-ინტერნატი, შეუძლიათ იმუშაონ შერჩეული პროფესიით და ერთდროულად განაგრძონ სწავლა საღამოს (ცვლის), აგრეთვე

სპეციალურ დაუსწრებელ საშუალო სკოლებში ან შევიდნენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. სკოლის ორგანიზაცია და სტრუქტურა

3. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატები გაიხსნება ზემდგომი ორგანოების დადგენილებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე.

4. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უშუალო-გამგებლობაში და ბიუჯეტზე.

5. ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად პასუხისმგებლობა სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის ეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განათლების განყოფილებებს.

6. მშობლები ან მათი შემცვლელი პირები პასუხისმგებლები არიან ბავშვთა დროულად მოწყობისათვის სკოლაში და მისი დამთავრებისათვის რვაწლიანი მასობრივი სკოლის სრული კურსის მოცულობით.

7. სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლები მომსახურებას უწევენ სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ბავშვებს. ამ სკოლების ორგანიზაცია ხდება სკოლა-ინტერნატის ტიპის მიხედვით, მაგრამ აქ შეიძლება ისწავლონ მომსვლელმა ბავშვებმაც, რომლებიც მშობლებთან ან მათ შემცვლელ პირებთან ცხოვრობენ. მომსვლელ ბავშვთათვის შეიძლება მოეწყოს გახანგრძლივებული დღის ჯგუფები სახალხო-სამეურნეო გეგმის ფარგლებში.

8. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი საწარმოოსწავლებიანი სკოლა-ინტერნატი შედგება ორი განყოფილებისაგან სწავლების ვადით: პირველ განყოფილებაში 10 წელი, მეორეში 12, გარდა ამისა, მეორე განყოფი-

ლებაში მოსწავლეები ღებულობენ პროფესიულ მომზადებას სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ დარგში მუშაობისათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენაგაქვეითებულ ბავშვთა ცალკეულ სკოლებთან ეწყობა XI და XII კლასები, რომლებმაც მოსწავლეებს უნდა მისცენ სრული საშუალო პოლიტექნიკური განათლება და პროფესიული მომზადება.

9. თუ მოცემულ ადგილზე არ არის სპეციალური სკოლამდელი დაწესებულება, სკოლასთან ეწყობა სკოლამდელი განყოფილება, სადაც ბავშვები იმყოფებიან ერთი-ორი წელი. სკოლამდელი განყოფილება მომსახურებას გაუწევს 5—6 წლის ბავშვებს.

სკოლამდელ განყოფილებებში მუშაობა ეწყობა ყრუ ბავშვთა სპეციალური სკოლამდელი დაწესებულებების დებულებისა და სპეციალური სასწავლო პროგრამების საფუძველზე. სკოლამდელი განყოფილების ამოცანაა ბავშვების მომზადება 1 განყოფილების 1 კლასში სწავლისათვის.

10. მოსწავლეთა იმ ნაწილისათვის, რომელიც სკოლის II განყოფილების VII კლასის დამთავრების შემდეგ გაღადის მწარმოებლურ შრომაზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სკოლასთან, ერთი წლის სწავლების ვადით, ეწყობა სასწავლო—საწარმოო კლასები, რომლებიც მუშაობენ განსაკუთრებული სასწავლო გეგმით. სასწავლო-საწარმოო კლასების ორგანიზაციის გათვალისწინება შეიძლება, თუ სკოლას გააჩნია კარგად მოწყობილი სახელოსნოები და სახეზეა საწარმოო პრაქტიკის გასავლელად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ მოცემული ადგილის ყრუ ბავშვთა სკოლებში არსებობს სასწავლო-საწარმოო კლასი, სმენაჩლუნგ ბავშთა სკოლების II განყოფილების მეშვიდე კლასების მოსწავლეები ხსენებულ სკოლებში გაიგზავნებიან პროფესიული სწავლებისათვის. სასწავლო-საწარმოო კლასების ამოცანაა მოსწავლეებს მისცეს საწარმოო კვალიფიკაცია სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ დარგში მუშაობისათვის.

11. სმენადაქვეითებულ ბავშვთა შენახვა სკოლა-ინტერნატში უზრუნველყოფილია საბიუჯეტო ასიგნობებით.

12. სამრეწველო საწარმონი, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები ან დაწესებულებანი, რომლებიც შეფობას უწევენ სმენადაქვეითებულ ბავშვთა განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-

ინტერნატებს, ჩაბმულ უნდა იქნენ სკოლის მოწყობაში, აღმზრდელობითი მუშაობისა და მოსწავლეთა შრომითი მომზადების ორგანიზაციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა

13. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში სწავლება და აღზრდა ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სპეციალური სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით.

14. სასწავლო წლის ხანგრძლიობა და არდადეგების ვადები:

ა) სასწავლო მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს და მთავრდება: I განყოფილების I—V კლასებში და II განყოფილების I—IV კლასებში—31 მაისს; I განყოფილების VI—IX კლასებში და II განყოფილების V—VI—VII კლასებში—14 ივნისს, II განყოფილების IX—XII კლასებში და I განყოფილების X—XII კლასებში—25 ივნისს (2 კვირის ჩათვლით მოსამზადებლად და გამოცდების ჩასაბარებლად II განყოფილების XII კლასში და 4 კვირის—1 განყოფილების XII კლასში).

ბ) სასწავლო წელი დაიყოფა მეოთხედებად: პირველი მეოთხედი—1 სექტემბრიდან 4 ნოემბრამდე (ჩათვლით); მეორე მეოთხედი—10 ნოემბრიდან 29 დეკემბრამდე (ჩათვლით); მესამე მეოთხედი—11 იანვრიდან 23 მარტამდე (ჩათვლით); მეოთხე მეოთხედი 1 აპრილიდან სასწავლო წლის დამთავრებამდე.

გ) სასწავლო წელს მოსწავლეთათვის წესდება არდადეგები: საშემოდგომო 5-დან 9 ნოემბრამდე (ჩათვლით); საზამთრო—30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე (ჩათვლით); საგაზაფხულო—24-დან 31 მარტამდე (ჩათვლით); საზაფხულო—სასწავლო წლის დამთავრებისას.

15. მოსწავლეთა რაოდენობა სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლის კლასში—12 კაცია.

შრომითი სწავლების საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის სასწავლო ჯგუფში 8—10 კაცია. მოსწავლეთა რაოდენობა საალმზრდელო ჯგუფში—25 კაცი.

16. გაკვეთილის ხანგრძლიობა სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლაში 45 წუთია; პირველ კლასებში, თუ არსებობს საამისო პირობები, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით გაკვეთილის ხანგრძლიობა შეიძლება განისაზღვროს 35 წუთით.

17. გაკვეთილებს შორის წესდება 10 წუთის დავენება, გარდა დიდი დასვენებისა, მეორე ან მესამე გაკვეთილის შემდეგ, რომლის ხანგრძლიობა არ უნდა იყოს 30 წუთზე ნაკლები. ადგილობრივი პირობების მიხედვით ერთი დიდი დასვენების ნაცვლად შეიძლება შემოღებულ იქნეს ორი დასვენება: ერთი—მეორე გაკვეთილის შემდეგ და მეორე—მესამე გაკვეთილის შემდეგ 20—20 წუთის ხანგრძლიობით.

18. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლებში სწავლება ხორციელდება მშობლიურ ენაზე.

19. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შესწავლა, პოლიტექნიკური და შრომითი სწავლება სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლებში ტარდება ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე მოსწავლეთა შესაძლისი მონაწილეობით სხვადასხვა საზოგადოებრივ—სასარგებლო—საქმიანობაში.

20. სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას სკოლაში წარმოადგენს გაკვეთილი, რომელსაც მასწავლებელი შედგენილი ცხრილით ატარებს მოსწავლეთა გარკვეულ შემადგენლობასთან. გაკვეთილებთან ერთად ტარდება ექსკურსიები, სახელოსნოებში და სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მეცადინეობა. სასწავლო დავალებათა შესასრულებლად სასწავლო პროცესში დასაშვებია მოსწავლეთა ორგანიზაციის ისეთი ფორმებიც, როგორიცაა ბრიგადები, ჯგუფები და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა.

სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლების სასწავლო მუშაობაში შემოქმედებითად უნდა იქნეს გამოყენებული სწავლების სხვადასხვაგვარი მეთოდი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეგნებულად და მტკიცედ დაუფლება, ბავშვთა მეტყველების განვითარება აქტიური მოქმედებისათვის, სმენითი აღქმის განვითარება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავებასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის ზრდას.

21. მოსწავლეთა ცოდნა, უნარი და ჩვევები ფასდება ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემით: „5"—ფრიადი, „4"—კარგი, „3" დამაკმაყოფილებელი, „2"—ცუდი, „1"—ძალიან ცუდი.

22. მოსწავლეთა აღზრდა მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა მიერ ორციელდება სწავლების პროცეს-

ში, შრომითს საქმიანობაში, კლასგარეშე ღონისძიებებით, აგრეთვე პიონერული, კომკავშირული და მოსწავლეთა ორგანიზაციების საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში მოსწავლეებში ინერგება ცოდნისადმი, შრომისადმი სიყვარული, შრომის ადამიანებისადმი პატივისცემა; მოსწავლეები აღიზრდებიან კოლექტივიზმის, კომუნისტური მორალის, სამშობლოსა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ხორციელდება მშობლიური ენის, ხატვის, რიტმიკისა და სხვა სასწავლო საგნების გაკვეთილებზე, აგრეთვე შინაარსითა და ფორმით სხვადასხვაგვარი კლასგარეშე მუშაობის პროცესში (წრეები, საუბრები, ექსკურსიები, თეატრებში კოლექტიურად დასწრება, გამოფენების, კინოსურათების ნახვა და სხვ.) და მიზნად უნდა ისახავდეს მხატვრული გემოვნების, განვითარებას, ქცევის კულტურის აღზრდას.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა ხორციელდება რიტმიკისა და ფიზკულტურის გაკვეთილებზე, აგრეთვე სხვადასხვაგვარი კლასგარეშე სპორტულ-ფიზკულტურული მუშაობის პროცესში და მოსწავლეთა შრომისა და დასვენების სწორი ორგანიზაციის გზით.

სკოლა იყენებს მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა ტურისტული და სამხარეთმცოდნეო ლაშქრობანი.

23. მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება: II განყოფილების I—VII კლასებში და I განყოფილების I—IX კლასებში —ცოდნის წლიური შეფასების საფუძველზე, გარდა ამისა II განყოფილების VIII—XI კლასებში და I განყოფილების XI—XII კლასებში—საწარმოო პრაქტიკის შეფასების მიხედვით.

24. გამოცდები და მოსწავლეთა გამოშვება I განყოფილების X კლასიდან II განყოფილების XII კლასიდან ხდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად.

I განყოფილების X კლასის თვითეული მოსწავლე სასწავლო წლის დასასრულს წარადგენს ჩასათვლელ სამუშაოს, რომელიც მან სახელოსნოში შეასრულა მასწავლებლის დავალებით, II განყოფილების XII კლასის თვითეული მოსწავლე ასრულებს საკვალიფიკაციო საცდელ სამუშაოს.

25. მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლის I განყოფილების X კლასი და II განყოფილების XII კლასი ღებულობენ დადგენილი ნიმუშის მოწმობას.

გარდა ამისა, მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს II-განყოფილების XII კლასი ღებულობენ მოწმობას კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ მათ მიერ შერჩეული სპეციალობით.

26. სუსტი სმენის მოსწავლეთა მიერ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის დამთავრებისას ტარდება გამოსაშვები გამოცდები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად. ის პირნი, რომლებმაც ჩააბარეს გამოსაშვები გამოცდები და საკვალიფიკაციო საცდელი სამუშაო, ღებულობენ დადგენილი ნიმუშის ატესტატს საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ და მოწმობას კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ შერჩეული სპეციალობით.

27. მოსწავლეთა გამოშვება სასწავლო-საწარმოო კლასიდან ხდება წლიური შეფასების საფუძველზე, ყველა საგანში, აგრეთვე საკვალიფიკაციო საცდელი სამუშაოს შესრულების მიხედვით. მოსწავლეები, რომლებმაც ჩააბარეს საკვალიფიკაციო საცდელი სამუშაო, ღებულობენ მოწმობას მათთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ შერჩეული სპეციალობით.

IV. შრომითი მომზადება და პროფესიულ-შრომითი სწავლება

28. შრომითი მომზადება წარმოადგენს სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სავალდებულო და ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს და შედგება შრომითი აღზრდისა და შრომის სპეციალური სწავლებისაგან.

29. შრომითი აღზრდა ხორციელდება სკოლის მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში, თვითმომსახურების, მორიგის მოვალეობის შესრულების, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობის პროცესში.

30. შრომითი სწავლება სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლაში ხორციელდება სამ ეტაპად: ა) ხელგარჯილობა (I—IV კლასები); ბ) ზოგადტექნიკური მომზადება (I განყოფილება V—X კლასები, II განყოფილება—V—VII კლასები); გ) პროფესიული სწავლება (I განყოფილება – XI—XIII კლასები, II განყოფილება—VIII—XII კლასები).

პროფესიული სწავლება მოეწყობა მოსწავლეთა მიდრეკილებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

შენიშვნა: სუსტი სმენის მოსწავლეებს, რომლებთაც აქვთ სათანადო მონაცემები ხელოვნების ამა თუ იმ დარგში (ფერწერა, ქანდაკება), შეუძლიათ იარონ სპეციალურ სკოლებში ან სტუდიებში, სადაც მეცადინეობა მათთვის წარმოადგენს პროფესიულ მომზადებას.

31. მოსწავლეებთან ტარდება საზოგადოებრივ-საწარმოო პრაქტიკა სასწავლო სახელოსნოებში, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (ადგილობრივი პირობების მიხედვით); სოფლის სკოლებში პრაქტიკა ტარდება მხოლოდ სასოფლო მეურნეობაში. III განყოფილების IV კლასისა და I განყოფილების VI კლასის მოსწავლეთა პრაქტიკისათვის განკუთვნილია დღეში 3 საათი, II განყოფილების VI—VIII კლასებისა და I განყოფილების VII—X კლასებისათვის—4 საათი (სულ 2 კვირა სასწავლო წელს).

II განყოფილების IX—XII კლასებში საწარმოო პრაქტიკა (მწარმოებლური შრომა) მოეწყობა სახელმწიფო მრეწველობისა და ყრუთა საზოგადოების საწარმოებში, დამხმარე მეურნეობაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამასთან ერთად მოსწავლეები მუშაობენ დღეში—6—6 საათს (სულ II განყოფილების IX—XI კლასებში, I განყოფილების XI—XII კლასებში—4 კვირა, II განყოფილების XII კლასებში, I განყოფილების XII კლასში—2 კვირა).

ქალაქის სკოლების სასწავლო-საწარმოო კლასებში პრაქტიკას ეთმობა 6 სასწავლო კვირა, სოფლის სკოლებში—10 კვირა.

32. შრომითი სწავლების განსახორციელებლად სკოლებში ეწყობა სამუშაო ოთახები და სახელოსნოები.

სკოლებს შეუძლიათ სამუშაოების შესრულება შეკვეთით იმ შემთხვევაში, თუ ეს სამუშაოები შეესაბამება სკოლის საპროგრამო მოთხოვნებს.

33. მოსწავლეთა პროფესიული მომზადება საწარმოო სწავლებიან სკოლა-ინტერნატში ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლების გზით, რომლის მიზანი უნდა იყოს მოსწავლეთა შეიარაღება მტკიცე ცოდნითა და ჩვევებით შერჩეული სპეციალობის მიხედვით.

პირველდაწყებითი პროფესიული მომზადების დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს სკოლის მონაწილეობით დადგენილი წესით

მიენიჭებათ კვალიფიკაცია, სათანადო სატარიფო თანრიგი ან კლასი, და ამის შემდეგ მოსწავლეები შეიძლება დაშვებულ იქნენ დამოუკიდებელ მუშაობაზე მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგში, პროფესიული მომზადების სრულყოფისა და მწარმოებლური შრომის ამაღლებისდა მიხედვით, ეს თანრიგები ან კლასები გადაისინჯება საკვალიფიკაციო კომისიების მიერ და საბოლოოდ დადგინდება მოსწავლეთა სკოლიდან გამოშვებისას.

საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის პროცესში მოსწავლეებში აღიზრდება თანამედროვე სოციალისტურ წარმოებაში საჭირო თვისებები: შრომის მაღალი კულტურა და შეგნებული შრომითი დისციპლინა, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების განუხრელად ზრდისადმი სწრაფვა, კოლექტივში მუშაობის უნარი და შრომა დასახული მიზნის მისაღწევად.

34. სუსტი სმენის ბავშვთა საწარმოო სწავლებიანი სკოლების მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისა და მწარმოებლური შრომისათვის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური ოლქისა და ქალაქის რაიონის აღმასკომის დადგენილებით თვითეული სკოლა მიემაგრება ერთ ან რამდენიმე მახლობელ სამრეწველო საწარმოს და ყრუთა საზოგადოების საწარმოებს, სამშენებლო ობიექტებს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, კოლმეურნეობებს და ა. შ.

სუსტი სმენის ბავშვთა საწარმოოსწავლებიანი სკოლის წარმოებასთან კავშირი ხორციელდება ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დებულების საფუძველზე.

V. სკოლის პედაგოგიური პერსონალი და სხვა მუშაკები

35. სმენადაქვეითებული ბავშვების სკოლა-ინტერნატის მუშაკთა შტატი (ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალი) დადგენილი წესის მიხედვით განისაზღვრება საშტატო განრიგით.

36. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის მდგომარეობისა და მუშაობისათვის. სკოლის დირექტორს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო საუკეთესო მასწავლებელთაგან, რომლებსაც გააჩნიათ ორგანიზატორული ნიჭი, უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლები სამი წლისა.

დირექტორი ხელმძღვანელობს სკოლა-ინტერნატის მთელ მუშაობას, უზრუნველყოფს პედაგოგიური კადრების სწორ განლაგებას; ზომებს ღებულობს სკოლის მუშაობისათვის საჭირო მატერიალური პირობების შესაქმნელად; ახორციელებს მასწავლებელთა კოლექტივის ხელმძღვანელობას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ამოწმებს სმენითი მუშაობის დაყენებას სკოლაში, აკომპლექტებს სკოლას მოსწავლეებით და წარმართავს მათი კოლექტივისა და მოსწავლეთა ორგანიზაციების საქმიანობას, ყოველმხრივ უწყობს ხელს ბავშვთა ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებას, პასუხისმგებელია სასწავლო გეგმისა და სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროგრამების შესრულებისათვის, მოსწავლეთა პროფესიულ-შრომითი მომზადებისათვის; სანიტარიის, შრომის პირობებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვისათვის, იყენებს ზემოქმედების ზომებს შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ; სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად წასახალისებლად წარადგენს მუშაკებს.

დირექტორი სკოლას ხელმძღვანელობს ერთმმართველობისა და კოლეგიალობის ერთმანეთთან შეხამების საფუძველზე და მუშაობაში ეყრდნობა პედაგოგიურ საბჭოს, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს და სკოლისათვის დასახმარებლად ყოველმხრივ აბამს მუშაობაში მოსწავლეთა მშობლებს, შეფსაწარმოებსა და დაწესებულებებს, ყრუთა საზოგადოების განყოფილებებს.

37. დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ისეთ მასწავლებელს, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და თავი გამოიჩინა კარგ ორგანიზატორად.

დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია აღმზრდელო-

ბითი მუშაობის დაყენებისათვის ინტერნატში, მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებებისა და ინტერნატის შინაგანაწესის შესრულებისათვის კლასგარეშე მუშაობის წარმართვისა და ინტერნატის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისათვის.

38. სასწავლო ნაწილის გამგეს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იმ პირთაგან, რომლებსაც მიღებული აქვთ დეფექტოლოგიური განათლება, თავი გამოიჩინეს კარგ ორგანიზატორ-მეთოდისტებად და სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში იმუშავეს არანაკლები სამი წლისა.

სასწავლო ნაწილის გამგე პასუხისმგებელია სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი და სმენითი მუშაობის, მოსწავლეთა შრომითი სწავლების სწორი ორგანიზაციისათვის, აგრეთვე მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სმენითი მუშაობის დარგში.

შენიშვნა: სუსტი სმენის მქონე ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში, სადაც საშტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობა, უკანასკნელი მოვალეობა ეკისრება დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობის დარგში.

39. სკოლის დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო ნაწილში (ან მნეს) ნიშნავს სკოლის დირექტორი. მნე პასუხისმგებელია სკოლის მეურნეობის მდგომარეობისათვის, სკოლის უზრუნველყოფისათვის სასწავლო მოწყობილობით, სკოლის ქონების დაცვისა და შენობის ნორმალური ექსპლოატაციისათვის, მისი სათანადო სანიტარულ და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაში ყოფნისა და ტრანსპორტის სწორი გამოყენებისათვის.

40. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სკოლის დირექტორის წარდგენით. მასწავლებლის თანამდებობაზე ინიშნება პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი სპეციალური ან უმაღლესი პედაგოგიური განათლება და გავლილი აქვს სპეციალური კურსები.

მასწავლებლები პასუხისმგებლები არიან სასწავლო გეგმისა და სასწავლო პროგრამების შესრულებისათვის, სწავლების უფრო რაციონალური მეთოდების გამოყენებისათვის სუსტი სმენის ბავშვ-

თა ასაკის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების ფონისა და მათი სწორი შეფასებისათვის, შემდეგ კლასში გადაყვანისა და სკოლიდან გამოშვებისათვის, მოსწავლეთა აღზრდისათვის საბჭოთა სკოლის მოთხოვნების შესაბამისად.

სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლის მასწავლებლებს ევალებათ იზრუნონ მოსწავლეთა სიტყვიერი მეტყველების ფორმირებისა და განვითარებისათვის, ასწავლონ მათ თავიანთი აზრის სწორად გაფორმება და გამოთქმა აგრეთვე ირგვლივ მყოფთა მეტყველების ათვისება და განუვითარონ ბავშვებს სმენითი აღქმა.

მასწავლებლები მოვალენი არიან მოსწავლეებისადმი პატივისცემა და ყურადღება შეუხამონ გონივრულ მოთხოვნებს მათ მიმართ.

მასწავლებლები სისტემატურად უნდა იმაღლებდნენ თავისი იდეურ-პოლიტიკური და თეორიული და პროფესიული მომზადების დონეს.

მასწავლებლები, რომლებსაც არ გააჩნიათ დეფექტოლოგიური განათლება და სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლებში მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი, თავის კვალიფიკაციას იმაღლებენ დაუსწრებელი სწავლით პედაგოგიური ინსტიტუტის დეფექტოლოგიურ ფაკულტეტზე და კურსების მუშაობაში მონაწილეობით.

41. ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელსაც სკოლის დირექტორის მიერ დაკისრებული აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგებლობა, სასწავლო პროგრამის შესაბამისად ყველა კლასისათვის ადგენს ნაკვეთზე პრაქტიკული მუშაობის გეგმას, უზრუნველყოფს ამ გეგმის შესრულებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩასატარებელი ცდების განხორციელებას და ისწრაფვის იმისაკენ, რომ სასწავლო-საცდელი ნაკვეთი ირგვლივ მყოფ მოსახლეობისათვის გადაიქცეს აგრონომიული კულტურის ნიმუშად.

42. მოსწავლეთა შრომითსა და საწარმოო სწავლებას სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში ახორციელებენ შრომითი სწავლების მასწავლებლები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სპეციალური პროფესიული მომზადების მქონე პირთაგან.

შრომითი და საწარმოო სწავლების მასწავლებლებს ევალებათ, უზრუნველყონ შრომისათვის დადგენილი პროგრამის შესრულება უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების და-

ცვა და პასუხისმგებელნი არიან მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის სასწავლო სახელოსნოებში მეცადინეობის პროცესში, საწარმოო ექსკურსიებისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ჩატარების დროს.

43. კლასის ხელმძღვანელს (სკოლებში უინტერნატოდ) ნიშნავს დირექტორი მოცემულ კლასთან მომუშავე მასწავლებელთაგან.

კლასის ხელმძღვანელი ატარებს ყოველდღიურ აღმზრდელობითს მუშაობას თავისი კლასის მოსწავლეებთან, თვალყურს ადევნებს მათ ქცევასა და წარმატებას და ღებულობს ზომებს ბავშვების მიერ მოსწავლეთა წესების განუხრელად შესრულებისათვის, კლასში მომუშავე მასწავლებლებთან ერთად იბრძვის იმისათვის, რომ მოსწავლეებისაგან შექმნას მეგობრული, დისციპლინებული, შრომისუნარიანი კოლექტივი, დახმარებას უწევს თავისი კლასის პიონერულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს და ატარებს კლასგარეშე აღმზრდელობითს მუშაობას ბავშვებთან, მუდმივ კავშირშია მათ მშობლებთან, რომლებსაც აბამს ბავშვთა აღზრდის ღონისძიებების გატარებაში, ახორციელებს თვითთმომსახურებაში, საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეებსა და სპორტულ მუშაობაში მოსწავლეთა სოციალისტური შეჯიბრებების პედაგოგიურ ხელმძღვანელობას.

44. სმენითი მუშაობის ინსტრუქტორი სუსტი სმენის ბავშვთა სკოლა-ინტერნატში თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

45. აღმზრდელებს სკოლის დირექტორის წარდგენით ნიშნავს განათლების სამინისტრო იმ პირთაგან, რომლებსაც მიღებული აქვთ დეფექტოლოგიური ან უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

აღმზრდელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მისთვის ჩაბარებული ჯგუფის ბავშვთა აღზრდა, ყოველმხრივ იცოდეს თავისი ჯგუფის თვითეული ბავშვი, პასუხი აგოს მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის;

ბ) მოაწყოს ჯგუფში მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა სასწავლო მეცადინეობისათვის მოსამზადებლად, ასწავლოს ბავშვებს სახელმძღვანელოებით სარგებლობა, წიგნის წესიერად შენახვა, დღიურებისა და რვეულების წარმოება;

გ) მოაწყოს სკოლისგარეშე მუშაობა თავისი ჯგუფის ბავშვებთან, კლასგარეშე კითხვა, თხრობა, ექსკურსიები, გასეირნება,

თამაში და გამოიყენოს მასობრივი და წრეობრივი მუშაობის სხვა სახეობანი;

დ) განავითაროს მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველება და სმენითი აღქმა;

ე) იმუშაოს კლასის ხელმძღვანელთან (სკოლის მასწავლებელთან) მჭიდრო კონტაქტში;

ვ) უზრუნველყოს მოცემულ ჯგუფზე რიცხული მატერიალური ფასეულობისა და მოწყობილობის სწორი გამოყენება და მოვლა.

46. უფროს პიონერხელმძღვანელს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით კომკავშირელთა ან კომუნისტთა (ასაკით არანაკლები 18 წლისა) რიცხვიდან, რომლებსაც აქვთ საშუალო ან უმაღლესი განათლება და გააჩნიათ სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მუშაობის მოწოდება.

უფროსი პიონერხელმძღვანელი მუშაობს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონეროორგანიზაციის რაზმეულის უფროსი პიონერხელმძღვანელის შესახებ არსებული ინსტრუქციის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ.

47. სასწავლო კაბინეტების გამგებლობას სკოლის დირექტორი აკისრებს სათანადო სპეციალობის მასწავლებლებს. სასწავლო კაბინეტების გამგეები სახარჯთაღრიცხვო ასიგნობების მიხედვით უზრუნველყოფენ კაბინეტებს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო მოწყობილობით და პასუხისმგებლები არიან მათთვის ჩაბარებული მატერიალური ფასეულობის მოვლა-პატრონობისათვის.

48. სკოლის ბიბლიოთეკარს ნიშნავს დირექტორი სათანადო მომზადების მქონე პირთაგან.

ბიბლიოთეკარი აწესრიგებს ბიბლიოთეკის რეგულარულ მუშაობას და მასწავლებლებთან ერთად მოსწავლეებს ეხმარება წიგნების შერჩევაში კლასგარეშე კითხვისათვის, გამოყოფს აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო თვალსაზრისით ძვირფას მასალას, ასწავლის ბავშვებს წიგნით სარგებლობას. ეწევა მუშაობას წაკითხულ ლიტერატურაზე, უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის შევსებას წიგნებით, პასუხისმგებელია წიგნადი ფონდის დაცვისათვის.

49. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მედიცინის მუშაკები არიან ექიმი-თერაპევტი, ექიმი-ოტოლარინგოლოგი, მედიცინის და, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განა-

თლების სამინისტრო საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის მომსახურე საექიმო პერსონალი ატარებს სანიტარულ-ჰიგიენურ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ისინი უზრუნველყოფენ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას და ხელს უწყობენ მათ ფიზიკურ განვითარებას, წარმატებით სწავლასა და აღზრდას, თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა სმენისა და მხედველობის ორგანოების მდგომარეობას, სწავლობენ მათ ჯანმრთელობას, ყოფაქცევას, თავის მუშაობაში ხელმძღვანელობენ. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს მითითებებით და მუშაობენ სკოლის მასწავლებლებთან, აღმზრდელებთან, დირექტორთან და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მის მოადგილესთან მჭიდრო კონტაქტში.

50. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სისტემატურად ეწევა პედაგოგიურ პროპაგანდას და მონაწილეობას ღებულობს მოსახლეობის შორის მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელებაში.

VI. პედაგოგიური საბჭო

51. მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ძირითადი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტისათვის სკოლაში იქმნება პედაგოგიური საბჭო.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობითს დარგში, სასწავლო ნაწილის გამგე, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისა და შრომის მასწავლებლები, აღმზრდელები, უფროსი პიონერხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმები, მშობელთა კომიტეტების თავმჯდომარე, შეფი საწარმოს ან დაწესებულების წარმომადგენელი. პედაგოგიურ საბჭოს სკოლის დირექტორი მოიწვევს ერთხელ მაინც სასწავლო მეოთხედში.

პედაგოგიური საბჭო განიხილავს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის საკითხებს, ზოგადი და პოლიტექნიკური განათლებისა და მოსწავლეთა შრომითი სწავლების, სწავლებისა და აღზრდის მეთოდების სრულყოფას, საუკეთესო მასწავლებელთა და აღმზრდელთა გამოცდილების საკითხებს; ამტკიცებს სკოლის სამუშაო გეგმას და დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის ანგარიშებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის შედეგებზე; წყვეტს

მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და სკოლიდან გამოშვების საკითხებს; ისმენს მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა, აღმზრდელთა, პიონერხელმძღვანელის, სკოლის ექიმისა და სხვა მუშაკთა ანგარიშებს.

პედაგოგიური საბჭო მუშაობს მის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

VII. მშობელთა კომიტეტი

52. მოსწავლეთა მშობლებთან მუდმივი და მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში იქმნება მშობელთა კომიტეტი, რომელსაც ირჩევს მშობლების საერთო კრება. მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე აირჩევა მისი შემადგენლობიდან;

მშობელთა კომიტეტი მშობლებს აბამს სკოლა-ინტერნატის მთელ მუშაობაში დახმარებას უწევს სკოლას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციაში, ბავშვთა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებაში, მოსწავლეთა თვითმომსახურების, მათი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისა და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციაში, ბავშვთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობისა და მოსახლეობაში პედაგოგიური პროპაგანდის ჩატარებაში, სკოლის სამეურნეო და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში.

მშობელთა მონაწილეობა სკოლის საქმიანობაში განისაზღვრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მშობელთა კომიტეტის მუშაობის შესახებ დამტკიცებული დებულებით.

VIII. მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ი

53. სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლაში მიიღებიან ბავშვები, რომლებიც ჩვეულებრივ სალაპარაკო ენის სიტყვებსა და ფრაზებს განასხვავებენ ყურიდან სამი მეტრის (არა უმეტეს) მანძილზე და სხვადასხვაგვარად აქვთ დარღვეული მეტყველება სმენის ნაკლებობის გამო, აგრეთვე ბავშვები, რომლებმაც სმენა დაკარგეს სკოლის ან სკოლამდელ ასაკში და, რომლებმაც შეინარჩუნეს მეტყველება თუ გინდ მნიშვნელოვანი დარღვევებით.

სკოლის I განყოფილებაში მიიღებიან სუსტი სმენის ბავშვები, რომელთა მეტყველება გამოირჩევა ცალკეული ნაკლოვანებებით (ენაბლუობა, მცირეოდენი აგრამატიზმი და სხვ.).

II განყოფილებაში მიიღებიან სუსტი სმენის ბავშვები ღრმა მეტყველებითი განუვითარებლობით (ლექსიკონის მკვეთრად შეზღუდვა, გამოსახული აგრამატიზმი, გამოთქმის დამახინჯება).

შენიშვნა: სუსტი სმენის ბავშვები, რომლებიც მეტყველებას განასხვავებენ ორ-სამ მეტრზე უფრო მეტი მანძილიდან, მაგრამ განუვითარებელი მეტყველების გამო არ შეუძლიათ მასობრივ სკოლაში სწავლა, ჩარიცხულ უნდა იქნენ სუსტი სმენის ბავშვთა სკოლაში.

54. სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლებში არ მიიღებიან ბავშვები, რომლებსაც მეტყველების ღრმა დარღვევები აქვთ, სმენა კი ნორმალური (ალალია, აფაზია და სხვ.).

55. სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლებში მოსწავლეების მიღება წარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

56. სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მოსწავლეთა მიღება ტარდება ყოველი წლის 10 აგვისტოდან 25 აგვისტომდე კომისიის მიერ, რომელშიც შედიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმომადგენელი (თავმჯდომარე), სკოლის დირექტორი, სუსტი სმენის ბავშვთა სკოლის ორი მასწავლებელი, ექიმი-ოტოლარინგოლოგი.

57. მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში სასწავლო წლის დაწყების შემდეგ დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მშობლები ერთი ადგილიდან საცხოვრებლად გადავიდნენ მეორე ადგილზე.

58. მშობლები ან მათი შემცვლელი პირები სკოლაში ბავშვის ჩასარიცხავად ვალდებულნი არიან წარადგინონ: განცხადება ბავშვის მიღებაზე, დოკუმენტი მისი ასაკის შესახებ, საექიმო დასკვნა სმენისა და მეტყველების მდგომარეობაზე, ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის შესახებ და ცნობა მშობლების საცხოვრებელი ადგილიდან.

59. ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადასული მოსწავლეები უგამოცდოდ მიიღებიან სათანადო კლასებში ცნობების საფუ-

ძველზე მათი წარმატების შესახებ. მოსწავლეები, რომლებიც ერთი სკოლიდან მეორეში გადასასვლელად არ წარადგენენ ცნობებს წარმატების შესახებ, ყველა საგანში შემოწმდებიან სწავლების წინა კურსის მიხედვით და ჩაირიცხებიან იმ კლასში, რომლისთვისაც ასინი აღმოჩნდებიან მომზადებულად.

60. მოსწავლეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მათთვის დადგენილი ქცევის წესები, იყვნენ დისციპლინირებულნი, მტკიცედ დაიცვან ქცევის ნორმები სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში.

61. სკოლა იყენებს მოსწავლეთა წახალისებისა და დასჯის ზომებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო წესებითა და ინსტრუქციებით.

განსაკუთრებული დანაშაულისათვის (ხულიგნობის გამოვლინება, პედაგოგიური პერსონალის შეურაცხყოფა, მასწავლებელთა მითითებებისა და სკოლის ადმინისტრაციის განკარგულებათა შეუპოვრად შეუსრულებლობა) პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლე შეიძლება გაირიცხოს სკოლიდან.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება სკოლიდან მოსწავლის გარიცხვის შესახებ დამტკიცებული უნდა იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ, რომელიც მშობლებთან ერთად ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ მოსწავლემ განაგრძოს განათლების მიღება ან მოხდეს მისი შრომითი მოწყობა.

62. სკოლის ყველა მოსწავლე შეადგენს ერთიან კოლექტივს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში.

დირექტორისათვის, სკოლის პედაგოგიურ საბჭოსა და პიონერული რაზმეულის საბჭოსათვის დახმარების გასაწევად იმ მიზნით, რომ მოსწავლეებში აღზარდოს თავისი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, დაინერგოს კულტურული ქცევის ჩვევები, განმტკიცდეს დისციპლინა, განვითარდეს მოსწავლეთა ინიციატივა და დამოუკიდებლობა, მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეებისა და სპორტულ მუშაობაში,—სუსტი სმენის ბავშვთა სკოლა-ინტერნატში შეიძლება შეიქმნას მოსწავლეთა კომიტეტი (სტაროსტატი), რომელიც მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

63. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში იქმნება პიონერული ორგანიზაცია, ხოლო თუ მოსწავლეთა შორის არიან

სრულიად საკავშირო ალკკ წევრები, სკოლაში შეიქმნება მათი ირველადი ორგანიზაცია.

სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ყოველმხრივ დახმარება პიონერთა და კომკავშირელთა თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარებისაკენ მიმართული,— სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

64. სკოლის მოსწავლეთა კოლექტივი მონაწილეობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ-სასარგებლო, კულტურულ-მასობრივ, ფიზკულტურულ-სპორტულ და წრეობრივ მუშაობაში, აგრეთვე ჩასატარებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიებში.

საზოგადოებრივ-სასარგებლო და მოსწავლეთათვის მისაწვდომი შრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს თვითმომსახურებაზე მუშაობა, რომლის მიზანია ცხოვრებაში აუცილებელი უფრო გავრცელებული შრომითი ჩვევების დანერგვა ბავშვებში. თვითმომსახურებაზე მუშაობა ტარდება მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელმძღვანელობით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, მშობელთა კომიტეტის მონაწილეობით, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნებისა და გამაფრთხილებელი ზომების დაცვით, სასწავლო მუშაობის შეუფერხებლად და მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაუზიანებლად, რისთვისაც დაუშვებელია მათი გადატვირთვა.

65. აღსაზრდელთა კოლექტივის შემჭიდროვების მიზნით სკოლის პრაქტიკაში უნდა იყოს უფროსი მოსწავლეების მიმაგრება უმცროსებზე, უფროსების შეფობა უმცროსებზე, ბრიგადების შექმნა გარკვეული სამუშაოების და სისტემატური მოვალეობის შესასრულებლად საერთო სასარგებლო და საყოფაცხოვრებო შრომის სახით, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები.

66. არდადაგების დროს აღსაზრდელებთან ეწყობა კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი სახის გამაჯანსაღებელი მუშაობა. მშობელთა სურვილის მიხედვით შეიძლება ბავშვების გაშვება სახლში. მიმოსვლის ხარჯებს ანაზღაურებენ მშობლები.

IX. სასწავლო-მატერიალური ბაზა

67. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს უნდა ჰქონდეს შემდეგი სასწავლო სადგომები: საკლასო ოთახები, სამი-

კროფონო აპარატურით გამართული, სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო და პედაგოგიური კაბინეტი, კანცელარია, დირექტორის კაბინეტი, სასწავლო-საწარმოს გამგის კაბინეტი, საექიმო კაბინეტი, პიონერთა ოთახი, ბიბლიოთეკა-სამკითხველოთი, სატანვარჯიშო დარბაზი ტანისამოსის გასახდელებითა და საშხაპეებით, სარეკრეაციო სადგომები, საგარდერობო ოთახები, სასადილო, პირსაბანი ოთახები და საპირფარეშოები, ტექნიკური პერსონალის ოთახი.

68. სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის საცხოვრებელ სადგომებში უნდა იყოს: საძინებლები, ჯგუფების ოთახები და დასასვენებელი ოთახები, იზოლატორი, სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილის კაბინეტი, აღმზრდელის ოთახი, მორიგე ტექნიკური პერსონალის ოთახი, სასტუმრო (აღსაზრდელთა შესახვედრად მშობლებთან), თეთრეულის ოთახი, საკუჭნაო, პირსაბანი, საბაზანო-საშხაპე სადგომები, ჰიგიენის ოთახი გოგონებისათვის, სანიტკვანძები, კვების ბლოკი.

69. სუსტი სმენის ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში სკოლამდელ ჯგუფებს ან განყოფილებებს უნდა ჰქონდეთ ყველა ის სადგომი, რაც გათვალისწინებულია ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების დებულებით.

70. სკოლებთან ეწყობა სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები და დამხმარე მეურნეობანი, რომლებიც მუშაობენ მათ შესახებ არსებული დებულების შესაბამისად.

X. დაფინანსება და ანგარიშგება

71. სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დაფინანსება ხდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

72. გარდა საბიუჯეტო სახსრებისა სკოლებს აქვთ სპეციალური სახსრები, რომლებსაც ისინი ღებულობენ თავიანთ აღსაზრდელთა მუშაობის შედეგად სახელოსნოებსა და დამხმარე მეურნეობაში, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. სპეციალურ სახსრებს სკოლა იყენებს განათლების იმ ორგანოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომლის ბიუჯეტზეც ის იმყოფება.

73. **სუსტი სმენისა** და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ **ბავშვთა სკოლა-ინტერნატი** აწარმოებს ფინანსურ და სტატისტიკურ **ანგარიშგებას, დადგენილ** საქმის წარმოებას, არქივს.

74. **სუსტი სმენისა** და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს თავისი ბეჭედი სკოლის სრული დასახელებით.

75. სუსტი სმენისა და მოგვიანებით სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლის ლიკვიდაცია და მისი გადაყვანა ერთი შენობიდან მეორეში შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების
ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 22
დეკემბრის დადგენილებით
ელექტრონული
ბიბლიოთეკა

ს ა ს წ ა ვ ლ ო გ ე გ მ ა

სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლისა 1967—1968 სასწავლო წლისათვის

№№ რიგზე	ს ა გ ნ ე ბ ი	საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით									
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
1	მშობლიური ენა	14	12	12	12	12	5	5	4	4	3
2	მშობლიური ლიტერატურა . . .	—	—				4	4	4	4	3
3	რუსული ენა	—	3	3	3	5	5	5	5	5	5
4	ლიტერატურა	—	—	—	—	—	—	—	—		
5	მათემატიკა	6	6	6	6	6	8	8	6	6	6
6	ისტორია					2	2	2	2	2	3
7	ბუნებისმცოდნეობა				2	2	—	—	—	—	—
8	გეოგრაფია						2	2	2	2	3
9	ბიოლოგია						2	2	2	2	2
10	ფიზიკა								3	3	3
11	ქიმია								2	2	2
12	ხაზვა								1	1	1
13	სმენითი აღქმის განვითარება . .	1	—	—	—	—	—	—	—	—	—
14	სახვითი ხელოვნება	1	1	1	1	1	1	1	—	—	—
15	რიტმიკა	1	1	1	—	—	—		—		
16	ფიზკულტურა	1	1	1	2	2	2	2	2	2	2
17	შრომითი სწავლება	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
	ს უ ლ	26	26	26	28	32	33	33	35	35	35
18	ინდივიდუალური მუშაობა სმენითი აღქმისა და მეტყველების ტექნიკის განვითარებისათვის .	4	4	4	4	4	4	2	2	2	2
19	ფაკულტატური მეცადინეობა . .	—				2	5	5	5	5	5
20	ჯ ა მ ი	30	30	30	33	36	39	40	42	42	42
	საზოგადოებრივ-საწარმოო პრაქტიკა (დღეებად)	—	—	—	—	—	12	12	12	12	

შენიშვნები:

1. სასწავლო წელი ყველა კლასში იწყება 1 სექტემბერს. სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება არდადეგები: საშემოდგომო —5 დღე (5-დან 9 ნოემბრამდე (ჩათვლით); საზამთრო—12 დღე (30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე (ჩათვლით), საგაზაფხულო—8 დღე (24-დან 31 მარტამდე (ჩათვლით).

2. სასწავლო მეცადინეობა მთავრდება X კლასში 25 მაისს, I—IX კლასებში—30 მაისს.

3. საზოგადოებრივ-საწარმოო პრაქტიკა ტარდება VI—IX კლასებში 31 მაისიდან 13 ივნისამდე ჩათვლით.

4. გამოსაშვები გამოცდები X კლასში ტარდება 1-დან 20 ივნისამდე ჩათვლით რვაწლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გამოცდების ჩატარების შესახებ არსებული ინსტრუქციის შესაბამისად.

5. შრომითი სწავლების სასწავლო ჯგუფში 8—10 მოსწავლეა.

6. იმ მოსწავლეთა პროფესიული სწავლება, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ წარმოებაში მოეწყობიან, ხორციელდება ფაკულტატური მეცადინეობის ხარჯზე.

7. მშობლიური ენის IV კლასის პროგრამიდან ამოიღება 1 საათი კვირაში ნაწილიდან „მეტყველების განვითარება და კორექცია“.

საუბრები თემებზე გარემო ცხოვრებიდან, ბუნების მოვლენებზე, ადამიანის მუშაობასა და ქცევაზე ამ ნაწილიდან (I მეოთხედი—12 საათი, II მეოთხედი—10 საათი, III მეოთხედი—13 საათი) უნდა ჩაატარონ აღმზრდელობითი მუშაობის საათებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 1353—ქარაგლის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 1354—ზესტაფონის რაიონის ზოგიერთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 13
3. ბრძანება № 1393—რესპუბლიკის საბალხო განათლების ორგანოებში მასწავლებელთა სამხედრო მომზადების საკითხებზე საქმის წარმოების შესახებ 19
4. ბრძანება № 1421—საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის გარეშე დარჩენილი სასკოლო ასაკის მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მათი სწავლებაში ჩაბმის შესახებ 21
5. ბრძანება № 1450—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგებისა და 1968 წლის კონფერენციისათვის მზადების შესახებ 23
6 ბრძანება № 1451—სურამის საბავშვო სახლში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ 29
7. დადგენილება—1967—1968 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ 31
8. დადგენილება—რესპუბლიკის სკოლებსა და განათლების სხვა დაწესებულებებში შრომის წიგნაკების წარმოების მდგომარეობის შესახებ 34
9. ბრძანება № 1487—სკკპ ცენტრალური კომიტეტის—საზოგადოებრივ-მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ 40
10. სმენადაქვეითებულ ბავშვთა განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-ინტერნატის დებულება 45
11. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლის სასწავლო გეგმა 1967—1968 სასწავლო წლისათვის 66